კაზინოებს ჰყავს სერიოზული ლობი... რასაც თამბაქოს შესახებ კანონის გაუვრცელებლობაც ადასტურებს ④

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 22 მაისი. 2018 წ. №107 (8508), ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 50 თეთრი.

შავი ფიქრები ავადმყოფ „რუსთავი-2“-ზე

1. ცერცეტა თაგვივით ახუნტრუცებულნი

2. მისაკისფერი ბიბილო

3. კონტრაქციელებო, თქვენს მხარეს ვარ!

⑥-⑦

დღის ამფითეატრიდან

– პეტრე დიდმა კეთილი ზრახვით ევროპაში გაჭრა ფანჯარა, სააკაშვილმა კი ბოროტი განზრახვით „რუსთავი-2“-ის სახით საქართველოში შემოჭრა ქვეყნის დამანგრეველი სარკმელი, საიდანაც ავად იჭყიტება შადიმან გვარამია...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაიწყო.

გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და ორმხრივი კავშირების განვითარების პოზიტიური დინამიკა, ასევე – საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები იყო.

შეხვედრის დასაწყისში პრემიერმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა. მთავრობის მეთაურმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი დატოვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი კვირიკაშვილმა და მაიკ პომპეომ მედიისთვის განცხადებები გააკეთეს.

მერიის გადაწყვეტილება დაზარალებულებს ამოასუნთქებს, მშენებლებს კი გამოაცოცხლებს

②

მიკროსაფინანსოები გამსხვილდება, ონლაინსესხები თითქმის გაქრება, ლომბარდების ბედი უცნობია...

⑧

თბილისის ბაგა-ბაღებში კვების რაციონში კალორიები მცირდება

⑪

ივანიშვილის შეხვედრა უმრავლესობასთან

დღეს „ქართული ოცნების“ ოფისში პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს შეხვდება.

ივანიშვილის „ოცნების“ თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ეს მისი პირველი შეხვედრაა საპარლამენტო გუნდთან. წინასწარი ინფორმაციით, სხვა საკითხებთან ერთად ივანიშვილი უმრავლესობასთან ნარკოპოლიტიკაზეც იმსჯელებს. როგორც ცნობილია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, უმრავლესობაში აზრი ორად არის გაყოფილი. საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრის შესახებ განცხადება გააკეთა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემაც. აკაკი ზოიძემ დაადასტურა, რომ შეხვედრის მთავარი საკითხი ნარკოპოლიტიკა იქნება.

ღირსების ორდენი – სიკვდილის შემდეგ

ის უზარმაზი ტკივილი, რომელიც თქვენთან ერთად განვიცადეთ არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვით, ცოტა მაინც შეგვიმსუბუქდება, როდესაც საქმე იქნება ბოლომდე გამოძიებული და დამნაშავეები იქნებიან დასჯილნი, – აღნიშნული განცხადება გუშინ გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის წევრებთან შეხვედრისას.პრეზიდენტმა არჩილ ტატუნაშვილი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული სიმამაცის გამოვლენისათვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

სახელმწიფო ჯილდო გიორგი მარგველაშვილმა არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის წევრებს სასახლეში გამართული შეხვედრისას გადასცა.

კახა კალაძე იტალიური კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა

იტალიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტით მყოფი თბილისის მერი კახა კალაძე იტალიური კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა თბილისის განათების სისტემის ენერგოეფექტური სანათებით ჩანაცვლების პერსპექტივები განიხილეს.

კახა კალაძის განმარტებით, თბილისის მერია აქტიურად მუშაობს, რათა დედაქალაქში არსებული განათების სისტემა თანამედროვე ენერგოეფექტური სანათებით ჩანაცვლდეს. მისი თქმით, ელექტროენერგიისა და მასზე გაწეული ხარჯების დაზოგვის გარდა, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებისა და მერების შეთანხმების შესრულების წინაპირობაა.

◎ პროტესტი

გაზეთებს ვიწერთ, მაგრამ ვერ ვიღებთ უფოსტალიონობის გამო!!!

ღია წერილი საქართველოს ფოსტის გენერალურ დირექტორს, ბატონ ლევან ჩიკვაიძეს

ბატონო ლევან, 2018 წლის 11 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით „გადავარჩინოთ ჩვენი საყვარელი გაზეთი!“

ამ წერილში ვწერდი, რომ სამწუხაროდ, თბილისს და სრულიად საქართველოს აღარ ჰყვანან ფოსტალიონები, რომლებიც სახლებში დაარიგებდნენ ჟურნალ-გაზეთებს. ფოსტალიონების არყოლა კი აფერხებს ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, რადგანაც ფაქტობრივად, არ ხერხდება მათი შინ მიტანა, მაგრამ თქვენი უწყებიდან არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა..

2018 წლის 23 თებერვალს, გაზეთის რედაქციაში ნახევარი წლით გამოვიწერე „საქართველოს რესპუბლიკა“ გავიდა სამი თვე და დღემდე გამოწერილი გაზეთის არც ერთი ნომერი არ მიმიღია, როგორც ირკვევა, ისევ და ისევ ფოსტალიონის არყოლის გამო.

ბატონო ლევან, გთხოვთ უზრუნველყოთ ფოსტის გამართული მუშაობა, რათა შეგვეძლოს ჟურნალ-გაზეთების მიღება შინ. თქვენი გადაწყვეტილება გვაცნობეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით.

ნათელა დავითაშვილი,
თბილისი, ნაძალადევის რაიონი,
წაღვერის ქ. 23.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსად ბექა ფერაძე დაინიშნა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსად ბექა ფერაძე დაინიშნა. დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე ის კონკურსით შეირჩა. მოვალეობის შესრულებას ახალი თანამდებობის რანგში 2 კვირაში შეუდგება კონკურსის სააპელაციო ვადის ამოწურვისთანავე. ბექა ფერაძე 2015 წლიდან, ამავე დეპარტამენტში დეპარტამენტის დაარსებიდან, შრომის ინსპექტორად მუშაობდა.

მარიამ ბეჟაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის ჩემპიონია!

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კვირას, 20 მაისს ჩატარდა სტუ-ის პირველობა დაპროგრამებაში. ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა გოგონამ – მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტმა მარიამ ბეჟაშვილმა, რომელმაც 7 ამოცანა ამოხსნა.

მეორე ადგილზე გავიდა ასევე მაგისტრატურის პირველკურსელი ვახტანგ ტაბატაძე 6 ამოხსნილი ამოცანით, ხოლო მესამე ადგილი ერგო შარშანდელ ჩემპიონს, ბაკალავრიატის მეოთხეკურსელს რავილ გასანოვს 5 ამოხსნილი ამოცანით. პირველობისთვის ბრძოლა დაძაბულად წარიმართა. კონკურსის ფარგლებში მონაწილეებს უნდა ამოეხსნათ 10 ურთულესი ამოცანა, რომელიც ფარავდა ფუნდამენტური დაპროგრამების აქტუალური თემატიკის საკმაოდ ფართო სპექტრს. კონკურსზე, რომელიც 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, საერთო ძალისხმევით 9 ამოცანა ამოიხსნა. კონკურსის მონაწილეთა მიერ გამოვლენილი მაღალი დონე თამამად იძლევა საფუძველს იმისთვის, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი უახლოეს საერთაშორისო ოლიმპიადებზე წარსდგეს ისეთი გუნდებით, რომლებიც რეალურად იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის.

ახალგაზრდა გამომგონებელმა შშმ პირებისთვის „ჭკვიანი სახლი“ შექმნა

„ჭკვიანი სახლი“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შექმნილი ხმისა და ხელის სენსორზე ადაპტირებული სახლის მართვის მოდელია. იგი უსინათლოებსა და სხვა ტიპის პრობლემების მქონე პირებს ეხმარება დამხმარე რობოტის მეშვეობით სხვადასხვა ფუნქციის შესრულებაში. პროექტი მრავალფუნქციური შესაძლებლობის გამო არაერთი საერთაშორისო ოლიმპიადისა და კონკურსის გამარჯვებული გახდა. გასულ წელს ახალგაზრდა მეცნიერი მსოფლიოს რამდენიმე კონკურსიდან ოქროს მედლითაც დაბრუნდა. ის ევროპის ოლიმპიადების გამარჯვებულია.

გამომგონებელი იუსიფ ნასიბოვი სოფელ მუღანლოდანაა. განათლებას იგი ქალაქ რუსთავში, შოთა რუსთაველის სკოლა-ლიცეუმში იღებს. გამომგონებლობასთან და მეცნიერებასთან პირველი შეხება, ისევე როგორც ქართულ ენასთან პირველი კონტაქტი სწორედ ამ სკოლაში მოუწია მომავალ მეცნიერს.

მერიის გადაწყვეტილება დაზარალებულებს ამოასუნთქებს, მშენებლებს კი გამოაცოცხლებს

ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებული 3000 ოჯახიდან თითქმის მესამედი ახლო მომავალში ნანატრ ბინას მიიღებს. მერიამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მშენებლები ფიქრობენ, რომ ეს დეველოპერული სექტორისთვის დადებითი ნაბიჯია, რადგან სამშენებლო ბაზარი გამოცოცხლდება.

რამდენიმე დღის წინათ, დედაქალაქის მერიამ ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებულებისთვის მიწის ნაკვეთები გამოყო და მასზე საცხოვრებელი შენობების აშენებას გეგმავს. დედაქალაქში 3000-ზე მეტი დაზარალებული ოჯახია, რომლებმაც 90-იანი წლებიდან დღემდე ვერ შეძლეს საკუთარი საცხოვრებელი ფართების მიღება. მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი კი, რომელზეც მათი სახლები უნდა აშენებულიყო, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს გასხვისდა.

„90-იანი წლებიდან მოყოლებული ეს ოჯახები წარმოადგენენ ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებულებს, რომლებმაც თავის დროზე გადაიხადეს ბინათმშენებლობის ღირებულება, თუმცა სახელმწიფომ ვერ შეძლო ამ ბინების მშენებლობა და ეს ვალი აღიარებულია. 20-25 წლის განმავლობაში ეს ადამიანები სასოწარკვეთილნი ელოდებიან, როდის მიიღებენ საცხოვრებელ ბინებს. სამწუხარო გარემოებაა ისიც, რომ მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი, რომელზეც ზემოთ ხსენებული ოჯახების სახლები უნდა აეშენებინა სახელმწიფოს, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, სხვადასხვა დროს იქნა პრივატიზებული“, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მისი ინფორმაციით, მოძიებულია 16 ჰექტარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და პირველ ეტაპზე მინიმუმ 800 ოჯახი დაკმაყოფილდება.

„უპირველესად დაკმაყოფილდება ყველაზე დაბალი სოციალური სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახები და შემდგომ კი, ამავე პრინციპის მიხედვით, დანარჩენები. ეს ადამიანები წლების განმავლობაში ელოდებიან, როდის მიიღებენ საცხოვრებელ ფართს“, – აღნიშნა კალაძემ.

საინტერესოა რას შეცვლის დეველოპერულ და სამშენებლო ბაზარზე მერის ახალი ინიციატივა. სამშენებლოების სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი კონკურენციაზე საუბრობს.

დეველოპერული კომპანია „ჯიდაჯი პლუსის“ დამფუძნებლის ბეჟან წაქაძის განცხადებით, ბაზარზე კონკურენცია თავისთავად იქნება, თუმცა ამ ეტაპზე მერიის მხრიდან გარკვეული დეტალების დაზუსტება უნდა მოხდეს.

„მერის მიერ გაკეთებული განცხადება თავისთავად ჰუმანურია, რადგან ის დაზარალებულებს ეხმარება. თუმცა ის დეველოპერები, ვინც სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებენ, თავისთავად კონკურენციაში შევლენ. ამ ეტაპზე ძალიან ბევრი დეტალია გასარკვევი, მაგალითად ის, მერია როგორი ფორმით ჩაატარებს ტენდერს და მასში მონაწილეობას ვინ მიიღებს“, – განუცხადა „კომერსანტს“ წაქაძემ.

განსხვავებული მოსაზრებისაა სამშენებლო კომპანია „ივერონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი. მას მიაჩნია, რომ ტენდერებში მონაწილეობის მიღება მცირე კომპანიებმაც უნდა შეძლონ.

„ეს თემა აქტუალურია და საინტერესოა, მერია როგორ დატვირთვას მისცემს, როგორი ფორმით მოხდება მშენებლობა და ის თბილისის იერსახეს რამდენად მოუხდება. ასევე, კარგი იქნება, თუკი მცირე კომპანიებს მიეცემათ ტენდერებში და მშენებლობაში მონაწილეობის უფლება, რათა ბაზარზე მათაც გაუჩნდეთ შანსი“, – აღნიშნა ჯაყელმა.

ბექა დანელია

ერთიანი ევროპის იდეის ერთ-ერთი ავტორი ქართველი მიხეილ მუსხელიც არის!

26 მაისი: საზღვარგარეთ დაგეგმილი ღონისძიებები

2018 წელს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის საიუბილეო თარიღი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება.

საქართველოს ისტორიის და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ციკლი მთელი წლის განმავლობაში გასტანს, თუმცა განსაკუთრებული ინტენსივობით მაისის თვე გამოირჩევა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს საქართველოს დროშის ფერებში განათდება მსოფლიოს სხვადასხვა ღირშესანიშნაობები. სლოვენიაში, საქართველოს ეროვნული სიმბოლოს ფერებში განათდება ლიუბლიანას ციხე-სიმაგრე; თურქეთში, ქალაქ ანკარაში ე.წ. „ანკარის ტყუპი ცათამბჯენი"; ლიტვაში, ვილნიუსის ცენტრალური ხიდი და ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა – სამი ჯვრის მონუმენტი. ასევე განათებული იქნება კორეაში, სეულის მუნიციპალიტეტის, პორტუგალიაში ლისაბონის მერიის და ესტონეთში საქართველოს საელჩოს შენობები.

საქართველოს საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს დროშები აღიმართება ესტონეთის ქალაქებში ტარტუს, პიარნუს, ვილაინდის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ, ხოლო ტალინის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დამონტაჟდება საქართველოს დროშები. საქართველოს ეროვნული სიმბოლო გამოფენილი იქნება ირლანდიაში, დუბლინის ცენტრში, კანადაში ოტავას მერიის შენობაზე და სხვა ცენტრალურ შენობებზე.

საიუბილეო თარიღს აღნიშნავენ ლატვიაში, სადაც რიგაში, საქართველოს საელჩოს შენობის წინ მოლზე განთავსდება საქართველოს დროშის ამსახველი ყვავილების კომპოზიცია. მოლოცვებს შეუერთდება ლიტვაც, სადაც ქალაქ ვილნიუსის თბილისის სახელობის სკვერში განთავსდება ე.წ. ჰაშტაგ მონუმენტი (GAMARJOBA), რაც საქართველოს და ქართული ენის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ასევე, უკვე ტრადიციულად, ქართული ჩოხით შეიმოსება ბელგიაში ბრიუსელის სიმბოლო Manneken-Pis და ბრიუსელის ქართული ეკლესიის მგალობელთა გუნდის მიერ შესრულდება საქართველოს ჰიმნი.

საიუბილეო თარიღის შესახებ ინფორმაცია და ვიდეორგოლები მთელი დღის განმავლობაში იტრიალებს ტალინის, კიშინიოვსა და სხვა დედაქალაქების ცენტრალურ მოედნებზე განთავსებულ ბილბორდებზე.

საქართველოს 100 წლის საიუბილეო მიღებები გაიმართება აშშ-ის კონგრესში, აშშ-ში საქართველოს საელჩოში.

საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოში, გაიმართება სახელოვანი ქართველი მეცნიერის, ერთიანი ევროპის იდეის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ მუსხელისადმი (მიშელ მუსხელი 1903-1964) მიძღვნილი ღონისძიება. მიღებაზე წარმოდგენილი იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩართულობით მოძიებული აქამდე უცნობი უნიკალური მასალა ამ უმნიშვნელოვანესი პიროვნების შესახებ.

ქ. ნიუ-იორკში, გაეროს სათაო ოფისში, ECOSOC Chamber-ში გაიმართება შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის პრეზენტაცია და დამოუკიდებლობის დღის სადღესასწაულო ღონისძიება. ღონისძიებაში გაეროს მხრიდან მონაწილეობას მიიღებს Thanawat Amnajanan (Chief of the United Nations Postal Administration) და გააკეთებს შესაბამის პრეზენტაციას. გაიმართება გიორგი მიქაძის კონცერტი „Georgian overtones" ანსამბლ „ბასიანის" ტრიოს მონაწილეობით.

გერმანიაში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი" გამართავს საზეიმო კონცერტს გერმანიაში მყოფი QRF მე-8 კონტინგენტის 80-მდე ქართველი ჯარისკაცისთვის, რომლებიც მიემგზავრებიან ავღანეთში.

აღსანიშნავია, რომ საზეიმო ღონისძიებები მთელი წლის განმალობაში აღინიშნება და მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის, ქვეყნის ეკონომიკურ-ტურისტული პოტენციალისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ მუდმივად განახლებულ ინფორმაციას შემდეგ მისამართზე: http://events.gov.ge/

დიდ ბრიტანეთში ღონისძიება „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და უორდროპების მემკვიდრეობა" გაიმართა

დიდ ბრიტანეთში, სევენოუკში, სერ ოლივერ უორდროპის (1919-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი კომისრის) სახლში ღონისძიება – „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე და სერ ოლივერ უორდროპის მემკვიდრეობა" გაიმართა. ღონისძიების ავტორი და ორგანიზატორია ცირა კემულარია, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები და Royal Dutch Shell-ში მოღვაწე ქართველი. პროექტი ლონდონში საქართველოს საელჩოსა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა. თიბისი ბანკის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, ოქსფორდის უნივერსიტეტმა პირველად გამოსცა საქართველოსადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც ბოდლეის ბიბლიოთეკაში დაცულ უორდროპების მდიდარ კოლექციას ეფუძნება. კოლექცია შეიცავს წლების მანძილზე ოლივერ და მარჯორი უორდროპების მიერ შეგროვებულ და უნივერსიტეტისთვის გადაცემულ მასალას. მათ შორის, უძველეს ქართულ ხელნაწერებს, უნიკალურ წიგნებსა და საარქივო დოკუმენტებს. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, რომელიც შეეხებოდა როგორც უორდროპების, ისე სხვა ცნობილი ევროპელი მეცნიერების ღვაწლს ქართული კულტურისა და ლიტერატურის წარმოჩენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერაში. კონფერენციაზე მიწვეულ სტუმრებს ცირა კემულარიამ და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილმა უმასპინძლეს. მოხსენებით წარდგნენ ქართველი და ბრიტანელი მეცნიერები და მწერლები. ღონისძიებას დაესწრნენ მარჯორი და სერ ოლივერ უორდროპების შთამომავლები.



26 მაისს 6 ქვეყნის პრეზიდენტსა და ევროკომისიის პრეზიდენტს ვუმასპინძლებთ

გიორგი მარგველაშვილი 26 მაისს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეზე 6 ქვეყნის პრეზიდენტსა და ევროკომისიის პრეზიდენტს უმასპინძლებს. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 26 მაისის საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად თბილისს 6 ქვეყნის პრეზიდენტი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი და 20-მდე უმაღლესი რანგის დელეგაცია ეწვევა.

ლიტვის, ლატვიის, ფინეთის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სომხეთის პრეზიდენტებსა და ევროკომისიის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უმასპინძლებს.

26 მაისს განსაკუთრებულად საზეიმოდ აღინიშნება 17:10 საათი, ზუსტად ის დრო, როდესაც 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს პრეზიდენტი სტუმრებთან ერთად თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 100 წლის წინანდელი მოვლენის თეატრალიზებულ ინსცენირებას დაესწრება.

26 მაისს, საღამოს კი, უმაღლესი რანგის სტუმრები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ნინო ანანიაშვილის, „სუხიშვილებისა" და „ბასიანის" მონაწილეობით გამართულ კონცერტს დაესწრებიან.

◎ სიახლე

ქვეითი პატრული

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს საპატრულო პოლიციის რეფორმას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურების განვითარება. რეფორმის ახალი ეტაპის ფარგლებში, დღეიდან თბილისში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვეითი პატრულის კორპუსი ამოქმედდა.

პირველი სამუშაო დღის დაწყების წინ, ქვეით პატრულებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია შეხვდა, ახალი დანაყოფის მისიასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა, დავალებები მისცა და წარმატებები უსურვა.

ამ ეტაპზე, პატრულის თანამშრომლები ქვეითად განახორციელებენ პატრულირებას დედაქალაქის იმ უბნებსა და ქუჩებში, სადაც გასართობი ინფრასტრუქტურაა განთავსებული. საპატრულო პოლიციის ახალი დანაყოფის ძირითადი ამოცანაა აღნიშნულ ლოკაციებზე ჩვენი ქვეყნის სტუმრებისა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი საპოლიციო სერვისების მიწოდება.

ქვეით პატრულს გააჩნია თანამედროვე საპოლიციო აღჭურვილობა, მათ შორის, უახლესი თაობის სამხრე ვიდეოკამერები. ქვეითი პატრულ-ინსპექტორები დღე-ღამის ყველაზე აქტიურ მონაკვეთში, წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებზე განახორციელებენ პატრულირებას, კერძოდ: შარდენის, ბამბის რიგის, კოტე აფხაზის, ტაბიძის, ვერცხლის ქუჩებზე, ასევე, ევროპის, ვახტანგ გორგასლის, საარბრიუკენის მოედნებზე, დავით აღმაშენებლის გამზირსა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე.

პირველ ეტაპზე პატრულირებას ქვეით პატრულთა 10 ჯგუფი განახორციელებს. მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სპეციალური გადამზადების კურსი გაიარეს. ქვეით პატრულ-ინსპექტორთა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ტურისტთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოვლენა, მათთვის საქართველოში მოქმედი კანონების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, მათი გადამისამართება მომსახურების სპეციალურ ცენტრებთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ზაფხულის სეზონის გააქტიურების შესაბამისად, ქვეით პატრულ-ინსპექტორთა რაოდენობის გაზრდას გეგმავს.

ᲜᲐᲠᲙᲝᲚᲝᲒᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ:

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲘᲤᲡᲘᲪᲐ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ

ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ შემდეგ კლუბური ცხოვრების მომხრეთა მხრიდან საპროტესტო აქციები მოეწყო და, თუკი სიტუაცია მათ სასარგებლოდ არ დარეგულირდება, ისინი კვლავაც საპროტესტო აქციებს აანონსებენ. პარალელურად ძალაში იქნება კონტრაქციებიც. რა პროცესები შეიძლება განვითარდეს და ვინ დარჩება მოგებული ამ დაპირისპირებით, ამის შესახებ სამედიცინო ცენტრ „ᲨᲠᲐᲜᲢᲘᲡ“ ხელმძღვანელი, ნარკოლოგი, პროფესორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ ესაუბრა.

— აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ვინმე იცავს ნარკორეალიზატორებს. ორივე მხრიდან დაწყებული აქციები, ვგულისხმობ „თეთრი ხმაურის“ მონაწილეებსაც და კონტრაქციის მომხრეებსაც, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ დაბალანსებული არ არის ეს ყველაფერი. მთავარია, იყოს ბალანსი მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. როცა მივაღწევთ ბალანსს, სიტუაციაც დარეგულირდება. ცხადია, ასეთი აქციები დააჩქარებს გარკვეულ რეფორმებს. რა სახით, რა ფორმით მოხდება ეს და როგორ სახეს მიიღებს რეფორმა, ჯერ არავინ არ იცის, თუმცა პროცესი რომ ძალიან გაიწელა ერთი წლის განმავლობაში, ეს აშკარაა. კანონპროექტი დევს და გარკვეული შეუთანხმებლობის გამო მუდამ გადადების რეჟიმშია. ახლა უკვე, ალბათ, გარკვეულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

— რა „დამსახურება“ მიუძღვის ამ დაპირისპირებაში ნარკოტიკების ლეგალიზებაზე საუბრის დაწყებას?

— რაც შეეხება ლეგალიზაციას, არა მგონია, დღეს ქვეყანა მზად იყოს ამ პროცესისთვის, თუმცა ოდესღაც, ალბათ, ლეგალიზაციის საკითხიც დადგება დღის წესრიგში. პროცესი ძალიან მძიმეა, რადგან აქციაზეც და კონტრაქციაზეც ორი აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულების, განსხვავებული ღირებულებების ადამიანების შეტაკება შეიძლება მომხდარიყო და შეიძლება, მიგვეღო საოქალაქო დაპირისპირება. რეალურად, ორივე მხარე მძიმე მდგომარეობაშია, რადგან, როგორც ჩანს, ინფორმაციის ნაკლებობაა. ეს ყველაფერი საფიქრალი და გასაანალიზებელია, რა ხდება ქვეყანაში და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს. ფაქტია, რომ ნარკოპოლიტიკის რეფორმა გასატარებელია. ეს აშკარად დაგვანახა ამ სიტუაციამ, როცა ასეთი აგრესია და სიძულვილი იგრძნობოდა ერთი მხრიდან, ხოლო მეორე მხრიდან მოთხოვნების გაურკვევლობა არსებობდა.

— საქართველოს პრეზიდენტი ანტინარკოტიკული კამპანიის დაწყების ინიციატივით გამოდის, რაშიც ხელოვანი ადამიანების ჩართვას მიესალმება. ნარკოპოლიტიკისადმი ლიბერალური მიდგომის შემდეგ, ეს კამპანია დაგვიანებული ხომ არ არის?

— ეს კამპანია დიდი ხნის წინათ უნდა დაეწყოთ. ზუსტად ეს არის ყველაზე ცუდი, რომ ანტინარკოტიკული ქმედებები სწორედ კამპანიური ხასიათისაა და არა სისტემური. ნებისმიერი ქმედება ჩვენს ქვეყანაში კამპანიურ ხასიათს ატარებს, ლოკალურად ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას. თუნდაც კლუბების დახურვა, სპეციპერაციები, რომლებიც მიმართულია გარკვეული სეგმენტის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, რამდენიმე ლიფსიტა დაიჭირეს, თუმცა რეალური პრობლემაა, რომ მოთხოვნა არსებობს, ვერ მოგვარდა. შავი ბაზარი მოთხოვნაზე ძალიან კარგად რეაგირებს, რაც ნიშნავს, რომ მოთხოვნა უნდა შემცირდეს. შესაბამისად, მოთხოვნა რომ შემცირდება, მიწოდებაც შემცირდება. მოთხოვნის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყველა რგოლი დაბალანსდება — **მკურნალობა, რეაბილიტაცია, ზიანის შემცირება, შს სამინისტროს აქტიური ქმედებები** და ა.შ. შესაბამისად, ნებისმიერი კამპანიური ხასიათი დროებითი ეფექტის მომტანია, რომელიც შორეულ პერსპექტივაში არანაირ შედეგს არ იძლევა. ამიტომ ეს **კამპანია ერთ და ორთვიანი კი არ უნდა იყოს, არამედ ამაში განათლების სამინისტროც უნდა ჩაერთოს და თემატური სწავლება დაიწყოს.** არსებობს ამის პრაქტიკა საზღვარგარეთ, როგორ უნდა მოხდეს პრევენცია, რომელიც შორეულ პერსპექტივაში მოგვცემს შედეგს. კამპანიური ხასიათის ქმედება კი მხოლოდ ერთ თვეს იმუშავებს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

— თქვენ ამბობთ, რომ ორიოდე ლიფსიტა დაიჭირეს, მაგრამ ამ ორიოდე ლიფსიტამ და, ასევე, სხვა ლიფსიტებმა ძალიან ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე დაღუპეს.

— ზუსტად ამაშია საქმე, რომ შავ ბაზარზე რა ნარკოტიკიც ტრიალებს, არავინ იცის. 45 დღეს ველოდებით, თუმცა, მე მგონი ამასაც უშედეგოდ ველით, რადგან დღესაც არ ვიცით, რა მოხდა ამ კლუბებში. ასეთი ფაქტები ადრეც ბევრი მომხდარა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ინფორმაცია ნულია. გაიხსენეთ, რაც მოხდა კაფე „გალერიში“ ამ რამდენიმე წლის წინათ, არცერთი შედეგი, რითი გარდაიცვალა ახალგაზრდა ან რა ინტოქსიკაცია იყო, არავინ იცის. ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს, ტოქსიკოლოგებს, ფსიქიატრებს, ნარკოლოგებს, „ემერჯენსის“ ექიმებს უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია. ესეც სისტემური პრობლემაა, რადგან დღეს რომ ერთი ნარკოტიკია, ხვალ სხვა ნარკოტიკი იქნება, ზეგ შეიძლება, უარესი ნარკოტიკი გამოჩნდეს, ძალზე მზარდია შავი ბაზარი. ამიტომ ვერავინ იტყვის, მეფედრონის ბრალია თუ არა ბოლო დროს მომხდარი ფაქტები, სანამ არ იქნება ექსპერტიზის დასკვნა. ექსპერტიზის დასკვნა კი ან გასაჯაროვდება, ან არა! ისიც არ ვიცით, რა სახის ნარკოტიკი ამოუღეს ამ ხალხს ბოლო პერიოდის განმავლობაში, ანუ არ ვიცით, რა ნარკოტიკი ტრიალებს დღეს. შესაბამისად, ვერც პრევენციას მოვახდენთ და ვერც მდგომარეობას გავაუმჯობესებთ, რადგან არ ვიცით, რა ხდება.

— პრობლემების თავიდან ასაცილებლად, ხომ არ ჯობს, ისევ ნარკოტიკების გაჰუმანურების პოლიტიკას გადავხედოთ? იქნებ, სწორედ ეს იყო ჩვენი შეცდომა, რომ მძიმე დემოგრაფიის მქონე ქვეყანაში ნარკოტიკების ლიბერალიზაციაზე დაიწყო საუბარი?

— რაღაცას რომ არ მოაქვს შედეგი, ის უნდა შეიცვალოს. როცა შედეგი არ აქვს იმას, რასაც 2006 წლიდან აკეთებს სახელმწიფო, ლოკალურად ებრძვის პრობლემას და არა სისტემურად, უნდა შეიცვალოს. როგორ უნდა შეიცვალოს, ეს სხვა საკითხია.

— როგორც ვიცი, ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას თქვენ არ ემხრობით.

— მეტი რაღა უნდა გამკაცრდეს, ყველაზე მკაცრი ნარკოპოლიტიკა ჩვენს რეგიონშია. ერთადერთი, ჩვენთან მომხმარებელთა სიკვდილით დასჯა არ ხდება და, თუ მაგასაც შემოვიღებთ, ეს იქნება გამკაცრება.

— თქვენ ამბობთ, რომ ნარკოტიკებზე მოთხოვნა უნდა შემცირდეს, მაგრამ მოთხოვნა როგორ შემცირდება, როდესაც ლიბერალური ნარკოპოლიტიკის შედეგად ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ, ვისაც არც კი აინტერესებდა ნარკოტიკი, უკვე მოსინჯა ეს მავნე ნივთიერება.

— აქ ნარკოტიკდამოკიდებულ ადამიანთა რიცხვის შემცირებასა და განათლებაზეა ლაპარაკი. ის ადამიანი, რომელიც ფლობს სწორ ინფორმაციას, თუ რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკს, სხვაგვარად იმოქმედებს. შენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ხარ, ეს ინფორმაცია ადამიანს მიაწოდო, დანარჩენი უკვე მისი არჩევანია. მე არ ვამბობ, რომ „გუდვილში“ უნდა იყიდებოდეს ნარკოტიკი, მაგრამ, თუ მოთხოვნა იქნება, ის ნარკოტიკი აუცილებლად გამოჩნდება შავ ბაზარზე. რამდენი ასეთი მცირერიცხოვანი დილერიც არ უნდა დაიჭირონ, მაინც გაჩნდება მეორე, მესამე, მეოთხე, მეათე დილერი. ამიტომ ყველა რგოლში სისტემურად უნდა შევძლოთ დაბალანსებული მუშაობა და არა ლოკალურად მარტო შს სამინისტრო, ან მარტო ჯანდაცვის სამინისტრო, ან ვიღაც განმარტოებულად ჩაერთოს ამ საქმეში.

— სახელმწიფოს როლი რა უნდა იყოს? განა სახელმწიფო ვერ ხედავს, რომ ახალგაზრდები მასობრივად ეტანებიან ნარკოტიკს, რადგან თავად სახელმწიფო თვითრეალიზების სხვა საშუალებას არ უტოვებს?

— დასაქმების პრობლემაა, სპორტში ჩაურთველობის პრობლემაა. ცურვის აბონემენტი ღირს 150 ლარი. ყველას არ შეუძლია ამდენის გადახდა საცურაო აუზზე. სადაც მძიმე სოციალური ფონია, ან იაფფასიანი ნარკოტიკი ჩნდება, ან სასმელი. ამიტომ ნუ ვიგონებთ ველოსიპედს, ვნახოთ, რა მოხდა სხვა ქვეყნებში, სადაც ეს პრობლემა შედარებით მოგვარდა, ეს მოდელი რაღაცნაირად ჩვენს ქვეყანასაც მოვარგოთ და გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან. ამას ვამბობთ 20 წელიწადია, კიდევ 20 წელიწადს რომ „ვიყვიროთ“, ალბათ, მაინც არაფერი მოგვარდება!

ესაუბრა
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲔᲑᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲦᲝᲑᲘ...

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲘᲡ შესახებ კანონი, რომელიც პირველი მაისიდან ამოქმედდა, თითქმის ყველა დახურულ სივრცეზე გავრცელდა. მათ შორის რესტორნებზე, ღამის კლუბებსა და ჩილიმ ბარებზე. გამონაკლისი მხოლოდ ერთი შემთხვევაა — კაზინო.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად სწორია რეგულაციის მსგავსი ფორმულირება და სათამაშო ბიზნესის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება. როგორც ირკვევა, მსგავსი მიდგომა ევროპის არცერთ განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს.

როგორც „აფბას“ ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი კაპანაძე** აღნიშნავს, თამბაქოს შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა აუცილებელია. მისი თქმით, კანონის მხოლოდ კაზინოებზე არგავრცელება არის დაუშვებელი.

„სათამაშო ბიზნესს რომ სერიოზული ლობი ჰყავს, ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თამბაქოს მოწევა მხოლოდ კაზინოებშია ნებადართული. ეს კონკრეტული ადამიანი-ლობისტი ასერხებს, რომ სათამაშო ბიზნესი არ მოექცეს სერიოზული რეგულაციების ქვეშ, არ დაიბეგროს იმ რეალური გადასახადებით, რასაც ნამდვილად უნდა იხდიდეს. გასაკვირი არაა, რომ ასეთმა ლობისტმა შეძლო კაზინოში თამბაქოს მოხმარება ნებადართული გაეხადა. მსგავსი რამ დაუშვებელია“, — განმარტავს კაპანაძე.

მისივე თქმით, ზოგადად არასწორია კანონის ფორმულირება, რადგან განვითარებული ქვეყნების მაგალითზე ცალკეულ შემთხვევებში (რესტორანი, ღამის კლუბი...) უნდა გამოიყოს მოსაწევი სივრცეები.

„კაზინოში ადამიანი თამაშობს და ამ დროს მოსაწევად გარეთ გასვლა, შესაძლოა, არ იყოს ლოგიკური, მაგრამ ასევე ალოგიკურია, რომ კონკრეტული სივრცეები არ არის გამოყოფილი მოსაწევად იგივე ღამის კლუბებში, რესტორნებსა თუ ჩილიმ ბარებში. მსგავსი მიდგომის გარეშე, არამხოლოდ ბიზნესი დაზარალდება, არამედ ირღვევა მწეველთა უფლებებიც. ასე არ ხდება განვითარებულ ქვეყნებში“, — აღნიშნავს კაპანაძე.

კანონი რომ არასწორად არის ფორმულირებული, ამ მოსაზრებას იზიარებს კლუბ „ხიდის“ დამფუძნებელიც **თამარ აქსანდერი.** მისი თქმით, პირველი მაისის შემდეგ

ღამის კლუბებში იკლო მომხმარებელთა რაოდენობამ, რაც ბიზნესსზე უარყოფითად აისახება, ამიტომ კაზინოს მსგავსად, აუცილებელია მოწევა ნებადართული გახდეს ღამის კლუბებშიც.

„ფაქტია, რომ კაზინო არის პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რადგან, ალბათ, ძალიან დიდ თანხას იხდის და ბიუჯეტშიც სათამაშო ბიზნესის სახით დიდი ფული შედის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მსგავსი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან არის არასწორი. ღამის კლუბი იმდენად სპეციფიკური ადგილია, რომ თამბაქოს შესახებ კანონის გაკონტროლება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ისეთ მოწესრიგებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ჰოლანდია და გერმანია, კლუბებში მოსაწევად გამოყოფილია სპეციალური სივრცეები, თუმცა მოწევა არც დანარჩენ სივრცეში იკრძალება. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც. ბოლო ერთ კვირაში შეგვიმცირდა მომხმარებელთა რაოდენობაც, რადგან ჩვენ ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარეთ გასასვლელიც კი არ გვაქვს, რომ ადამიანებმა მოწიონ. ის კანონი, რაც მოქმედებს დღეს, ფაქტობრივად, ნიშნავს კლუბის დახურვას“, — განმარტავს აქსანდერი.

რატომ არიან კაზინოები პრივილეგირებულ მდგომაროებაში, ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არის. მანამდე კი გეტყვით, რომ „თიბისი ბანკის“ ინიციატივით შემოსავლების სამსახურისა და ALLProperty.ge-ს პარტნიორობის შედეგად შექმნილი 2017 წლის ბიზნესრუკის მიხედვით, აზარტული თამაშების სექტორი ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესია საქართველოში. კერძოდ, თუ 2015 წელს აზარტული თამაშის შემოსავალი 2,121,744,711 ლარს შეადგენდა, 2016 წელს აზარტული თამაშების სექტორის შემოსავალმა 4,235,351,755 ლარი შეადგინა, რაც 1 მილიარდით მეტია წინა წელთან შედარებით. რაც შეეხება ბოლო მონაცემებს, 2017 წელს აზარტული თამაშების ბრუნვამ ჯამში 5.6 მლრდ ლარი შეადგინა.

ამასთან, „საქსტატის“ ინფორმაციით, საქართველოში 10 ყველაზე დიდი ბრუნვის მქონე კომპანიებიდან 3 ტოტალიზატორია („Europebet“, „ლიდერბეთი“, „crystalbet“).

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲚᲔᲛᲝᲜᲯᲐᲕᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲓᲒᲛᲔᲚᲐᲓ ᲔᲣᲓᲐᲰ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲐᲓ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ...

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ – ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲝᲠᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ საუკუნის პირველი ნახევარი ქართული მეცნიერული აზროვნების აღორძინებისა და რიგი დარგის ჩამოყალიბების ნაყოფიერი პერიოდი იყო. გამოჩენილი მეცნიერებისა და მამულიშვილების — ა. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის, ა. ხარაძის, გ. ნიკოლაძის, დ. უზნაძის, ი. ბერიტაშვილის, გრ. წულუკიძისა და სხვათა ნიჭიერებისა და აქტიური ორგანიზაციული მოღვაწეობის შედეგად, ენის, ისტორიისა და ეროვნული კულტურის შემსწავლელი მეცნიერებების პარალელურად, მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიისა და სხვა მეცნიერებების მძლავრი და აღიარებული ქართული სკოლები ჩამოყალიბდა.

ამავე პერიოდში, ფიზიკის, ქიმიის, მექანიკისა და სხვა მეცნიერებების მიღწევებზე დაყრდნობით მსოფლიომ მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განიცადა. ნახტომისებურად განვითარდა საყოფაცხოვრებო, მანქანათმშენებელი, ავია-კოსმოსური, სამედიცინო აპარატურისა და მრეწველობის სხვა დარგები. ამ დარგების განვითარების ტემპები ადამიანის სამსახურში უხსოვარი დროიდან არსებული დარგის — მასალათმცოდნეობის მეცნიერულ-ტექნიკურმა დონემ განაპირობა.

აღნიშნული ტექნიკური გარღვევა უშუალოდ უკავშირდებოდა ახალი სპეციალური თვისებების მქონე ლითონური მასალების შემუშავებასა და მათ მიზანმიმართულ გამოყენებას. ტექნიკის მრავალ დარგში გამოყენების მხრივ, ლითონური მასალების უპირატესობამ მასალათმცოდნეობაში ახალი ფოლადებისა და შენადნობების დამუშავების, მათი სტრუქტურების ფორმირებისა და თვისებების შემსწავლელი პროცესების კვლევის მიმართულების — ლითონთმცოდნეობის — ჩამოყალიბების აუცილებლობა განაპირობა.

თანამედროვე მასალათმცოდნეობის განვითარებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი უნიკალური ცვლილება შეიტანა. ხელოვნური ინტელექტის სფეროში მეცნიერების განვითარების მაღალმა დონემ მასალათმცოდნეებს საშუალება მისცა, კომპიუტერული ციფრული მოდელის მონაცემების აღწარმოებით რეალური სამგანზომილებიანი ობიექტები დაემზადებინათ.

ამჟამად არნახული ტემპით ვითარდება ლითონური ნაკეთობების 3D ფორმატში აღწარმოების ადიტიური ტექნოლოგიები. ამასთან, ნანომეტრული ლითონური ნაწილაკების გეომეტრიულ ზომებზე მასალების თვისებების დამოკიდებულების აღმოჩენამ მასალათმცოდნეობას განვითარების ფართო პერსპექტივა შეუქმნა.

თანამედროვე მეცნიერებათმზომელური კვლევებით დადგენილია, რომ სამრეწველო თვალსაზრისით, განვითარებულ ქვეყნებში ახალი მასალების შემუშავება და, შესაბამისად, მასალათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, მუდმივად იმყოფება მეცნიერების განვითარების პრიორიტეტულ ველში.

საქართველოში მასალათმცოდნეობის მეცნიერული განვითარების გარიჟრაჟზე მოღვაწეობა დაიწყო ახალგაზრდა განსწავლულმა მეცნიერმა — ბატონმა ფერდინანდ თავაძემ. მან ზუსტად გააცნობიერა საზოგადოების განვითარებაში მასალათმცოდნეობის ადგილი და როლი. იგი თეორიული და ცდისეული ცოდნის გაერთიანების საფუძველზე მეტალურგიის მრავალ მიმართულებას ავითარებდა. განსაკუთრებული და ფასდაუდებელი იყო მის მიერ გაწეული შრომა საქართველოში ლითონთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბებაში. ამასთან, მისი, როგორც ლითონთმცოდნის სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა უწყვეტად უკავშირდებოდა ქვეყნის სამრეწველო სექტორში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

ბატონ ფერდინანდს 21 მაისს დაბადებიდან 106 წელი უსრულდება. მე მასთან სტუდენტის, ასპირანტის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და ადამიანური, უშუალო ურთიერთობის მრავალი წელი მაკავშირებდა. აქედან გამომდინარე, თავს უფლება მივეცი, ცოტა რამ მეთქვა მისი, როგორც მეცნიერის, ისე პიროვნების შესახებ.

დროის მოთხოვნის შესაბამისად ბატონი ფერდინანდის თაოსნობით აკადემიური კვლევების პარალელურად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის) მეტალურგიის ფაკულტეტზე ლითონთმცოდნეობისა და ლითონთა თერმული დამუშავების სპეციალობა დაარსდა. ბუნებრივია, ამ მიმართულების სტუდენტებს ლითონთმცოდნეობაში ლექციებს ბატონი ფერდინანდი უკითხავდა. მისი ურთიერთობა სტუდენტებთან ცალკე თემაა და მრავალჯერაა აღწერილი. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთი ურთიერთობისას საშუალება ეძლეოდა, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების გარდა, რომელიღაც, მხოლოდ მისთვის გასაგები ნიშნით გამოერჩია რომელიმე მათგანი. მისი მხედველობის არეში მოხვედრილ სტუდენტს ურჩევდა და თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფდა სტუდენტობის პერიოდიდან ჩართულიყო კვლევით სამუშაოებში. ნიშანდობლივია, რომ ასეთი მიდგომით მაპროფილებელი კათედრის მიერ მომზადებული ლითონთმცოდნეები მრავალი წლის განმავლობაში, ქვეყნის სამრეწველო დარგების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, კვლევითი მიმართულებების კადრების რიგსაც დიდი წარმატებით ავსებდნენ.



ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ ბატონმა ფერდინანდმა არა მარტო ჩამოაყალიბა ქართული სამეცნიერო-სასწავლო და ტექნიკური ლითონთმცოდნეობის სკოლა საქართველოში, არამედ მრავალი წელი მუხლმოუდრეკლად იღვაწა, რომ მისთვის მყარი საფუძველი და საუკეთესო მეცნიერული ტრადიციები შეექმნა.

ცნობილი გამონათქვამის — **„თუ გინდა დიდი ნაბიჯი გადადგა, იფიქრე მასშტაბურად“** — მიმდევარი, ბატონი ფერდინანდი თავიდანვე არ შემოსაზღვრულა არაორგანული მასალათმცოდნეობის რომელიმე ერთი საკითხის შესწავლით. თავის გარშემო შემოკრებილ, მის მიერ შერჩეულ ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად ინსტიტუტში კვლევები ფართოდ გაიშალა. ამ პერიოდიდან, ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში როგორც მდგომარეობის დიაგრამების, ლითონების თხევად, კრისტალურ და ამორფულ მდგომარეობაში მიმდინარე მრავალფეროვანი ცვლილების შესწავლის, ისე ახალი პერსპექტიული მასალების შემუშავებისადმი მიძღვნილი საკითხები აისახებოდა.

ბატონმა ფერდინანდმა ბუნებით ბოძებული მთელი მისი ნიჭიერება, უდიდესი შრომისმოყვარეობა, სამეცნიერო, პედაგოგიური და ადმინისტრაციული მოღვაწეობა მიუძღვნა მისთვის მახლობელი დარგის — მასალათმცოდნეობის განვითარებას. გაწეულმა შრომამ დიდი და ღირსეული მეცნიერის სახელი დაუმკვიდრა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ბატონი ფერდინანდის სახელის უკვდავსაყოფად აღორძინებულ მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს მისივე სახელი უწოდა.

არაორგანულ მასალათმცოდნეობაში მას უდიდესი ცოდნა-გამოცდილება და ავტორიტეტი ჰქონდა. იგი „განუწყვეტლივ“ მოძრავი, მხნე, ხალისიანი და საქმიანი ადამიანი იყო. არასოდეს ამბობდა უარს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან თუ „შინაური“ (სსრკ-ის მასშტაბით) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებიდან მიღებულ მიწვევებზე — მონაწილეობა მიეღო სამეცნიერო-პრაქტიკული თუ სასწავლო საკითხების განხილვაში. ასეთ ღონისძიებებზე, როგორც წესი, დარგის სიახლეები წარმოჩნდებოდა და განვითარების ახალი გეზი ისახებოდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ის ლითონური მასალების კვლევების სიახლეების მაჯისცემას გრძნობდა.

ლითონურ მასალებზე დატვირთვის სქემების, კოროზიული გარემოსა და ექსპლუატაციის პირობებზე ჩამოყალიბებულ უახლეს მეცნიერულ-პრაქტიკულ თვალსაზრისს იგი თავისებურად უდგებოდა და ავითარებდა. მასალების თვისებებზე ეფექტური ზემოქმედების ახალ-ახალი მეთოდების გაცნობა მისი ცოდნის ისედაც მდიდარ არსენალს კიდევ უფრო ამდიდრებდა. მასალის ქცევის სიღრმეებში გარკვეული იგი სიახლეთა ამ „არსენალს“ მუდამ უშურველად „გადაანაწილებდა“ კოლეგებსა (მიმართულებების შესაბამისად) და დამწყებ მკვლევარებზე.

მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობა მრავალჯერ და დაწვრილებითაა აღწერილი. მის პირად თვისებებსა და თანამშრომლებთან ურთიერთობაზე მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება თანამშრომლებთან. პირადი ურთიერთობისას, თანამშრომლებისთვის ის, უპირველესად, მახლობელი, ძვირფასი, იშვიათი სულიერი თვისებებით შემკული, მისაწვდომი, გულწრფელი და მიუკერძოებელი ადამიანი იყო. ჩვენც დიდად ვაფასებდით მასთან ურთიერთობას. შეჩვეული ვიყავით მის ჰუმანურობას, სხვისი აზრის მიმართ პატივისცემასა და შემწყნარებლობას. მის თავმდაბლობაში ბრძენკაცს ვხედავდით.

ამ მოკლე და მეტად არასრული მიმოხილვის მიზანი მისთვის დამახასიათებელი თვისებებიდან მხოლოდ ერთი „შტრიხის“ — დამწყებ მკვლევარებთან მისი თანამშრომლობის ფორმის წარმოჩენაა.

ბატონი ფერდინანდი, პრაქტიკულად, ყოველდღიურად ზრუნავდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდაზე. მისი მიდგომა მათთან ურთიერთობისას განსაკუთრებული იყო. დამწყებ მკვლევარებთან თანამშრომლობის თავისებურება შეიძლება ორი სიტყვით აღიწეროს. ის მათთან „ღია კარის“ პრინციპით მოქმედებდა. მათთვისაც, ისე როგორც უფროსი თაობის თანამშრომლებისთვის, მისი კაბინეტის კარი მუდამ ღია იყო. ნებისმიერ დროს შეეძლოთ მასთან რჩევისთვის, სათხოვნელად ან აზრის გასაზიარებლად მისვლა. კვლევის შედეგების გასაანალიზებლად უმეტესად თვითონ მიდიოდა დამწყები მკვლევარის სამუშაო ადგილზე და, როგორც წესი, მიმდინარე კვლევის შედეგებს „ადგილზე და ერთობლივად“ აანალიზებდნენ.

შედეგების განხილვისას ბატონი ფერდინანდი თავის უპირატესობას არასოდეს არავის აგრძნობინებდა. მასთან მსჯელობისას დამწყები მკვლევარი მისი „ღირსეული კოლეგა“ იყო. იგი ბოლომდე მოისმენდა მის მოსაზრებებს, მოუწონებდა, შეაქებდა, წააქეზებდა და უნერგავდა რწმენას, რომ ყოველდღიური, თუნდაც უმნიშვნელო პროგრესი, საბოლოო შედეგთან მიაახლოებდა. იგი თავის თვალსაზრისს დაახლოებით ასეთი ფორმით შეაჯამებდა -„რასაკვირველია, მიდგომა სწორია, გააგრძელე კვლევა იმავე მიმართულებით და ამასთან, შეეცადე... „ამ კუთხითაც გაერკვე, რა ხდება“. ეშმაკურად აუციმციმდებოდა თვალები და თქვენ უკვე ხვდებოდით, რომ ახალი გეზითაც უნდა წარმართოთ კვლევა... შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ სწორედ ის „კუთხე“ იყო ერთ-ერთი საინტერესო.

აღსანიშნავია, რომ ამ „კუთხის“ შესწავლისას ახალგაზრდა თავის ქმედებაში სრულიად თავისუფალი იყო. ის არ ითრგუნებოდა „შეფისგან შემოსაზღვრული ჩარჩოთი“. თავად მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ამ მიმართულებით საკითხის შესასწავლად ცოდნის ამაღლება ესაჭიროებოდა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი მოძიება-გაცნობისა და ექსპერიმენტული კვლევების შედეგების ახლებური ანალიზის საფუძვლებზე მკვლევარის ცოდნის თვალსაწიერი ფართოვდებოდა. იგი „ამ კუთხის“ ნამდვილ სპეციალისტად იქცეოდა და ამ „კუთხით“ საკუთარი ორიგინალური მოსაზრებებიც უჩნდებოდა.

ძალიან მოგვწონდა დამწყებ მკვლევართან ურთიერთობის მისი ერთი თავისებურებაც. ბატონი ფერდინანდი მიესალმებოდა მათ სურვილს, საქმიანი და პირადი კონტაქტები დაემყარებინათ მათი კვლევის შესაბამისი მიმართულების ცნობილ მეცნიერებთან. ის პირადად ერთვებოდა ამ წამოწყებაში. იყენებდა საკუთარ ნაცნობობასა და ავტორიტეტს. სახელგანთქმული კოლეგების მოღვაწეობის სტილისა და თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვილი მათი ლაბორატორიული „სამზარეულოს“ ახლო გასაცნობად ზოგს სტაჟირებაზე აგზავნიდა მათთან, ზოგს პირადად გააცნობდა მათ, შეათანხმებდა პირობებს და მათი ურთიერთობის ასაწყობად გარკვეული ხნით სამუშაო ადგილად მიუჩენდა იმ ქალაქს, ინსტიტუტსა და ლაბორატორიას, რომელშიც ცნობილი სპეციალისტის ზედამხედველობით უნდა გასცნობოდა თანამედროვე ლაბორატორიულ ხელსაწყო-დანადგარებს და ადგილზე ეკეთებინათ თავისი საქმე.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამწყებ მეცნიერთა მონაწილეობას სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში. მისი აზრით, „დისკუსიებში ნაწრთობნი მომავლისკენ უფრო გაბედულ ნაბიჯებს გადადგამენ“. ყოველთვის მოიპოვებდა ფინანსებს საზღვარგარეთის საერთაშორისო თუ მაშინდელ „შინაურ“ სამეცნიერო ფორუმებზე მათ გასამგზავრებლად. აქ ისინი ეცნობოდნენ მონათესავე სპეციალობების აღიარებულ მეცნიერებს, მათთან ურთიერთობისას და საგნობრივი მსჯელობისას კი საკუთარი ცოდნის სიღრმეში რწმუნდებოდნენ.

ასეთი იყო მისი ერთ-ერთი მეთოდი მომავალი მეცნიერის უნარ-ჩვევების — ცოდნის გაღრმავებისა და საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოსაყალიბებლად. ისე, სიმართლე უნდა ითქვას, დარგების აღიარებული ნაცნობ-მეგობარი კოლეგები და საკვლევი საკითხის წარმოსაჩენი „კუთხეები“ მას არასოდეს ელეოდა ...

მეცნიერ-პედაგოგისა და ადმინისტრატორის ასეთი თვისებებითა და მიდგომით ინსტიტუტში ჩამოაყალიბა „სამოციანელ“ ახალგაზრდა მეცნიერთა მძლავრი და ბრწყინვალე ფრთა. ბატონი ფერდინანდის საამაყოდ, სამოციანელებმა მთელი სისრულით აღასრულეს მათზე „დანათლული“ სურვილები და თავიანთი მეცნიერული საქმიანობით ინსტიტუტის სახელი და ღირსება მნიშვნელოვნად აამაღლეს.

ᲝᲛᲐᲠ ᲨᲣᲠᲐᲫᲔ,

სსიპ-ფერდინანდ თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი

„ორ რამეს არა აქვს საზღვარი — ადამიანის სისულელეს და სამყაროს!.. თუმცა, სამყაროს შემთხვევაში, შესაძლოა, ვცდები“. ალბერტ აინშტაინის ეს გონებამახვილური ნათქვამი გამახსენდა, როცა კონჩიტა გაბუნიას უნიჭო ინტერპრეტაცია მოვისმინე ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით.

ამ საცოდავ გაბუნიას, მისი მოკლე ჭკუით, იესო ქრისტე ან კათოლიკური ეკლესიის მისიონერი ჰგონია, რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევს, იერუსალიმში ჩავიდეს საქადაგებლად, თუ შავი ზღვის ეგზოტიკურ სანაპიროს ეწვიოს, ანდა, ისე აქვს გონება დაბნელებული ბიძინა ივანიშვილის სიძულვილით, მზადაა, ნაბან წყალს ბავშვიც თან გადააყოლოს და მაცხოვარზე ილიცინოს!

ისე, რაკი სიტყვამ მოიტანა, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, რომელიც, სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდიდან ყოველთვიურ სტიპენდიას იღებს, თავის დროზე, საკუთარი პირმშო რომ გადაეყოლებინა ნაბანი წყლისთვის, ხომ აცდებოდა ამდენ წყევლა-კრულვასა და გინებას უღირსი შვილის გაზრდის გამო?

„შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა,
განა ერთფერად სმა უნდა?!
პირზე მომდგარსა სიტყვასა,
განა სუყველას თქმა უნდა?!“

აი, ასე მარტივად უყურებდა ქართველი კაცი ზომიერების დაცვის საკითხს და ამიტომაც ფასობდა ჩვენში სიდარბაისლე და აწონილი სიტყვა!

...სწავლულ ბიოლოგთა მტკიცებით, ყველაზე ბინძური ბაქტერიები ადამიანის პირის ღრუში ბუდობენ და ისინი გაცილებით მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე სწორ ნაწლავსა და კუჭში არსებული მათი თანამოძმენი. როცა ამ გაბუნიას (მელაძეს, კვესიტაძეს...) ვუსმენ, განსაკუთრებული პატივისცემით ვიმსჭვალები იმ ბიოლოგთა მიმართ, ვინც შესაძლებლობა მომცა დამედგინა, თუ რატომ ამოდის ამათი პირიდან ამდენი სიმყრალე, შხამი და დარდუბალა!

— სიტყვათა შენთაგან განმართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯოო, — ამბობს უფალი. მცდელობა ბევრი ყოფილა, მაგრამ ქრისტესთან ომი არავის მოუგია, დამარცხებით კი ისე დამარცხებულან, რომ აღგვილან პირისაგან მიწისა. იულიანე განდგომილი როცა კვდებოდა, ისტერიულად კიოდა, შენ მაჯობე ნაზარეველოო და კბილებით ხორცს იგლეჯდა. აღარაფერს ვამბობ იუდა ისკარიოტელზე, რომელმაც სამარადჟამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჯოჯოხეთის ჯურღმულებში.

„ის ერთი თორმეტთაგანი იყო მოყვარე ვერცხლისა,
მან აღიშენა სამყოფი, ბნელ საუკუნო ცეცხლისა,
სიხარბით, ნათლად ვერა სცნა შარავანდედი
მზე ცხლისა,
გაყიდა, სისხლი იტვირთა, განწმენდი ბრალთა
მრეცხლისა“
(დ. გურამიშვილი)

საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიის თანახმად, იუდამ იესო ანგარების მიზნით გასცა, რის სანაცვლოდაც 30 ვერცხლი აიღო, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ ღალატის მოტივი არა სიხარბე, არამედ შური იყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ იუდა ქრისტეს ხაზინადარი იყო და 30 ვერცხლის მითვისებას, ასეთი მზაკვრობის გარეშეც მოახერხებდა, მაგრამ შურმა დაუბნელა გონება და ეშმაკის ნებას დაემორჩილა.

მოგვიანებით, როცა გააცნობიერა დანაშაული, ის 30 ვერცხლი გადაყარა, არღავანას ხეზე საბელი ჩამოაბა და თავი ისე ჩამოიხრჩო, სინანულის გამომხატველი ერთი სიტყვაც არ დასცდენია და შენდობა არ უთხოვია. ალბათ, ამიტომაც არის, რომ იმ არღავანას ხეზე, რომელზეც იუდამ თავი ჩამოიხრჩო, ჩიტი არ ჯდება და არ გალობს, ამაზე ხილული სასწაული რაღა უნდა იყოს?

ამ ცოდვით დაცემულებს, ზნედაცემულებსა და მეხდაცემულებს, ყველაფერი ქართული, ქრისტიანული და ტრადიციული რომ სძულთ, ღვთის რისხვის რატომ არ ეშინიათ?! ამათ უმაღლესი სასულიერო იერარქის შეგონებანი არ ესმით და მე რას გავაგებინებ, მაგრამ ქრისტიანული მორალი მაიძულებს, გავაფრთხილო და გონიერებისკენ მოვუწოდო. „ვაი არს, რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად და ნათელსა ბნელად და რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად და ტკბილსა — მწარედ“ (ისაია, 5.20).

ცხონებული ზვიად გამსახურდიას იმ ლექსს, რომლის ფრაგმენტი წერილის ეპიგრაფად მაქვს გატანილი, ასეთი გაგრძელება აქვს:

„ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატნი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა“.

ისე, გულწრფელად მაინტერესებს, რამდენი ლარის ეკვივალენტი შეიძლება იყოს დღევანდელი კურსით, ის წყეული 30 ვერცხლი, მისი ხელში ჩაგდების მოსურნეთა რიცხვი, გეომეტრიული პროგრესიით რომ იზრდება?!

> „სინანული ზეციური ნიჭი და წყალობაა, — წერდა მისი უწმინდესობა 2017 წლის სააღდგომო ეპისტოლეში, — რომელიც ღვთის მსჯავრსაც კი სცვლის. სცვლის პიროვნებისადმი როგორც შემოქმედის, ისე მოყვასის დამოკიდებულებას. მეძავიც, ქურდიც, ლოთიც, შეურაცხმყოფელიც და მოძალადეც, გულწრფელი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მთელ ჭუჭყს იცილებს და ბოროტს ასამარებს. ამ წუთისოფელში არ არსებობს ისეთი დაცემული მდგომარეობა, საიდანაც უფლისკენ შემობრუნება იყოს შეუძლებელი, რადგან არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას“.

მარიამ მეგვიპტელი მეძავი იყო, რომელიც შემდეგ უდიდესი წმინდანი შეიქმნა თავისი ცხოვრების წესით. წლების განმავლობაში უდაბნოში ცხოვრობდა, მარტვილობდა და ამ გზით განიწმინდა უმძიმესი ცოდვებისაგან.

ადამიანის მეტამორფოზის ბრწყინვალე მაგალითი მოგვცა პავლე მოციქულმა, რომელიც სავლედ ყოფნის პერიოდში ქრისტეს მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ იესოს ღვთიური მადლით შთაგონებული, პავლედ გარდაისახა და უმდიდრესი სულიერი საგანძური დაგვიტოვა ეპისტოლეების სახით.

პეტრე მოციქულმა, რომელიც საუკუნო ერთგულებას პირდებოდა იესოს, ადამიანური სისუსტეების გამო, სამჯერ უარყო ქრისტე, მაგრამ ღრმა სინანულითა და მოწამეობრივი სიკვდილით (იგი, მისივე მოთხოვნით, თავქვე აცვეს ჯვარს) გამოისყიდა დანაშაული და სასუფეველი დაიმკვიდრა.

მსგავსი მაგალითების გათვალისწინებით და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოგვიწოდებს პატრიარქი გულწრფელი სინანულისკენ, აღსარებისა და ზიარებისკენ, მაგრამ გარეწარი გაბუნია „უცილობლობს ვითა ჯორი“ და ცოცხალი თავით არ უნდა ბოდიშის მოხდა: „თუ ვინმემ ჩემი განცხადებების გამო შეურაცხყოფილად იგრძნო თავი — და ეს პირველად არ მომხდარა — ეს არ ნიშნავს, რომ მე ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე. ამიტომ ვთვლი, რომ არავისთან საბოდიშო არაფერი მაქვს“.

რა გაეწყობა, ესეც მისი არჩევანია, მაგრამ პატრიარქის მახვილ გონებას არც ასეთი შემთხვევები რჩება ყურადღების მიღმა და მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებით ცდილობს ღვთისმგმობელთა და ურწმუნოთა გადარჩენას: „უფალმა არჩევანის თავისუფლება მისცა ადამიანს, რათა მარტო ღმერთმა კი არ გამოიხსნას იგი, არამედ თვითვე იყოს თავის გამოხსნის თანამონაწილე. სამოთხე და ჯოჯოხეთი დედამიწაზე იწყება“.

ცერცეტა თაგვივით ახუნტრუცებულნი

„ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი!“
ზვიად გამსახურდია

სამოთხე და ჯოჯოხეთი რომ მართლაც დედამიწაზე იწყება, ამის საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიყვან და ურწმუნო თომებმა დასკვნები თავადვე გააკეთონ.

ქართველი თევდორეც მართლმადიდებელი მღვდელი იყო და „ოხრანკის“ ანაფორიანი აგენტი, რუსი გიორგი გაპონიც, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედებების გამო, ერთი ცად ამაღლდა და სასუფეველი დაიმკვიდრა, მეორე კი ჯოჯოხეთში დაინთქა და გოგირდის სუნით ყარს მისი ცოდვილი სული!

> ცხოვრებით დაბრძენებული ერთი ხევსური, აკაკი შანიძეს შეხვედრია და მთიელი კაცის პირდაპირობით უთქვამს, ბატონო აკაკი, ამ ჩემს შვილსა და თქვენს სანაქებო სტუდენტს, სწავლა და ცოდნა კი აქვს, მაგრამ ჭკუა არა აქვსო. ჩვენებურ ლიბერასტებსა და უსამშობლო კოსმოპოლიტებს, თითქოს რაღაც კი უსწავლიათ, მწყაზარი სახეებით მორალს გვიკითხავენ, ტოლერანტობისკენ მოგვიწოდებენ, ჰომოფობიაში გვადანაშაულებენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნებსაც კი წერენ, მაგრამ აღქმისა და გაგების უნარი წაურთმევია არსთა გამრიგეს, რისი დაჯერება არაფრით არ უნდათ!

„ვაი მწერალთა უკეთურებისათა, რომელნიც უკეთურებასა წერენ და სასტიკ ბოროტებას იზრახავენ!“ (ესაია, 10.1). ამათ, ამ უბედურ დღეზე გაჩენილ მომწერლო სუბიექტებსა და მათი „შემოქმედებით“ აღფრთოვანებულ ლიბერტარიანელებს, ესაიაზე უფრო „საია“ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) აინტერესებთ, მაგრამ მართლაც ვაი და უი იმ „მწერლებს“, ვისაც საკრალური სიწმინდეების გაბიაბრუების მცდელობით განუზრახავთ თავის დამკვიდრება.

ჩემბერლენი ბჟუტურობდა, იესო რომაელი ჯარისკაცის ბუში იყოო. უთუოდ ეს სისულელე ექნებოდა მოსმენილი ბოლ-

◉ პარალელები სატელევიზიო „დუეტიდან“

მიხაკისფერი ბიბილო

ფიქრი, რომელიც 20-21 მაისის ღამეს დაგვადა გვარამია-კვესიტაძის მჩხავანა „დუეტმა“ და მათი ნაცადი „რესპონდენტების“ სინანულმა, რომ აქცია-კონტრაქციის დაპირისპირება დიდ ეროვნულ არეულობაში არ გადაიზარდა.

ნიკამან გვარამიამან რაც უნდა დააბრიხოსა,
მათგან ფიორიც არ არის სინამდვილესთან
ახლოსა,
ჰოდა, ფაშისტი ვინ არის, ყველამ რომ დაინახოსა,
მოდით, ვახსენოთ, წამებით ვინც მისმა ხროვამ დახოცა!

ჩვენ დღესაც ვგლოვობთ დიდ ქართველს,
პროფესორ გურამ შარაძეს,

რომელსაც არც კი ახსენებს, რადგანაც ეს ხელს
არ აძლევს;
ჩვენ დღემდე ვგლოვობთ დახოცილ მამა-შვილ
ვაზაგაშვილებს,
მზეჭაბუკ სანდრო გირგვლიანს და მის ხვედრს
მართლაც საშინელს!
პროვოკაციულ კითხვებით როდესაც ეთერს
ხუთავსა,
რა პასუხს გასცემს იმ ქვეყნად რობაქიძეანთ ბუტასა?
მე ვეკითხები კინჩხამდე ჩაფლულს ფაშისტურ
მორალში,
რა პასუხს აძლევს „ნაცების“ ნაცემ-ნაწამებ
მოლაშვილს?
როცა სხვებს ფაშისტს უწოდებს,სხვებთან რომ
ეძებს ასეთებს,
განა ფაშიზმი არ არის, რაც მან დამართა გაზეთებს?
პროკრუსტ-პროკურორ „ჟურნალისტს“ ვინ
დაუჯერებს უჯეროს,
როცა „სამშობლო“ წაგვართვა, გარეთ გაგვყარა
უჯეროდ?
კვირას ბანისთვის მოუხმო კვესიტაძესთან „კუპონას“
და ოთოია კახიძეს (ხალხმა „ფიშტო“ რომ უპოვა)...
რადგან ისეთი შხამი აქვს, რომ ბინდავს ბევრი
კაცის ტვინს,
ძნელი არ არის, შეიცნო მიხაკისფერი ნაცისტი.
მან მოგვიწამლა შვილები, მან შეგვაჩვია
ჰადესი, —
აი, რად უყვარს „გებელსი“ „ფიურერს“
კბილებალესილს.
ყბედია?
მოდგეს, იყბედოს და სადაც უნდა, ირბინოს,
ვერ გაგვაბრიყვებს, მოუჩანს მიხაკისფერი ბიბილო!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი

შავი ფიქრები ავადმყოფ „რუსთავი-2“-ზე

შევიკების აპოლოგეტ ფრიდონ ნაროუშვილს, რომელმაც ენით გამოუთქმელი შხამი და სამსალა ამოანთხია პირიდან:

„ესროლე რომის მეძავ მარიამს
და ჯალათ ქრისტეს სიფილისიანს“.

მაშინდელ პროლეტმწერლებსა და „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ წარმომადგენლებს, ჩვენს დროშიც გამოუჩნდნენ სულიერი შვილები **ბურჭულაძის, დეისაძისა და შამუგიას** სახით, რომელთაგან ერთმა დაწერა „სახარება ვირისა“, მეორემ – „საიდუმლო სირობა“, ხოლო მესამე ისე გათავხედდა, თვით წმინდა სამებას შეეხო ბინძური ხელებით: „ბოლოს და ბოლოს, ღმერთი სხვა არავინაა, თუ არა დაკომპლექსებული ეშმაკი, რომელმაც საკუთარი ძე ჯვარზე მიაკლა“.

ქართული ფსიქიატრიის კორიფე ავლიპ ზურაბაშვილი, განიხილავდა რა ტერმინებს „ჰომო საპიენს“ („მოაზროვნე ადამიანი“) და „ჰომო მორალის“ („მორალური ადამიანი“), უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდა და ამ მოსაზრებას ასე ასაბუთებდა: გონიერება ტვინის განვითარებაა, რაც მიღწევადია, ხოლო მორალის განვითარება არ ხდება, იგი ადამიანს ან აქვს, ან არაო!

დელფოს ორაკული არ ვარ, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვივარაუდო, ამ მორალისგან დაცლილ მუტანტებს, საქილიკოდ მაცხოვარი რომ გაუხდიათ, ბედისწერა ისეთ სიურპრიზებს მოუწყობს, აუცილებლად მოუწევთ მართალი იობის სულისშემძვრელი სიტყვების გამეორება: „რათა წარწყმდეს დღე იგი, რომელსა შინა ვიშევ და ღამე იგი, რომელსა შინა თქუეს, აჰა არს წული“.

მონადირეებმა იციან, თუ ნადირობისას გიურზას გადაეყრები, დამიზნება საჭირო არაა, იგი თვითონ გაუსწორდება ლულას, რადგან გრძნობს, რომ საფრთხე იქიდან მოდის და ცხოველური ინსტინქტი უკარნახებს, ბედისწერას დაემორჩილოს.

გული მიგრძნობს, რაღაც ამის მსგავსი დაემართებათ გაბუნიასა და მის მსგავს ღვთისმგმობელებს. ისე არიან ცერცეტა თაგვივით ახუნტრუცებული, აუცილებლად გამოთხრიან კატას, მაგრამ მანამდე, როგორც შექსპირი ამბობს, „ო, რამდენ ბატკანს შეიწირავს ცბიერი მგელი!“

ის გულანთებული ბიჭები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რომ გამოკეტეს ციხეში, სწორედ გაბუნიასა და იმ ნაპროკურორალი გვარამიას პროვოკაციის მსხვერპლი არიან, რომელიც დახელოვნებულია მსგავსი ინტრიგების მოწყობაში და თუ საზოგადოებამ ამჯერადაც წაუყრუა, კიდევ არაერთ ადამიანს გააუბედურებენ.

უწინდელ საქართველოში ეროვნება და რწმენა ერთი სიტყვით აღინიშნებოდა „რჯული“, ყველა დანარჩენს კი ურჯულოს ეძახდნენ. ჩემი და ჩემნაირი კონსერვატიული შეხედულებების ადამიანისთვის, რელიგიური გრძნობების შელახვა, ეროვნების შეურაცხყოფასთან ასოცირდება და ასეთი ქმედება დასჯადი უნდა იყოს. „მხოლოდ ის უნდა დაისაჯოს, ვინც დანაშაული ჩაიდინა“, – ამბობს მარკუს ავრელიუსი „მედიტაციაში“. ჩვენთან კი რა ხდება? **მსხვერპლად გამოიყვანეს არსება, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ანუ მილიონობით ქრისტიანის რელიგიური გრძნობები შეურაცხყო (აკი, გვარამიამ ბოდიში მოიხადა), ხოლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრეს ადამიანებს, რომლებმაც ასეთი შეურაცხყოფა გააპროტესტეს. გაბუნიასა და მურადაშვილს თავისუფლება უკანონოდ შეუზღუდესო, დაასკვნა მოსამართლემ. თუ თემიდის ეს მსახური ლოგიკასთან მწყრალად არ არის, მარტივად დაადგენდა, რომ „თავისუფლებააღკვეთილი“ პირები ავტომობილში თვითონ ჩასხდნენ, კარები შიგნიდან ჩაიკეტეს, „მარშელები“ კი პირიქით, მოუწოდებდნენ, მანქანიდან გადმოდითო. სად არის აქ ლოგიკა, ბატონო მოსამართლეე?!**

მესმის, რომ ამ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხს არავინ გამცემს, მაგრამ სახარებაში აუცილებლად ვიპოვი: „მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა“ (ლუკა, 18.2).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ აბსურდული ბრალდებით დაპატიმრებული ქრისტიანების მხარდამჭერი განცხადებები, ერთეული გამონაკლისის გარდა, არც საპატრიარქოს წარმომადგენლებს გაუკეთებიათ და ხელისუფლებაც მრავალმნიშვნელოვნად დუმს, სამაგიეროდ, გამარჯვების ყიჟინა დასცეს გაბუნიამ და კომპანიამ.

ბატონო ხელისუფალნო, გულწრფელად მიხარია, სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველთან რომ გხედავთ კელაპტრებით ხელში გარინდებულებს, მაგრამ მდუმარების აღთქმა ხომ არ გაქვთ დადებული?! როგორ შეიძლება, მორწმუნე მართლმადიდებელი გულგრილი იყოს განსაცდელში ჩავარდნილი მოყვასის ბედისადმი?! ეკლესია ხომ ქრისტეს მისტიკური სხეულია და იქ შესული ადამიანი ქრისტესავით გულმოწყალებასა და მიმტევებლობას უნდა იჩენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ერთი ბრძნული შეგონებისა არ იყოს, ყოველდღე ტაძარში რომ იარო და შუბერტის „ავე მარია“ იმღერო, სასუფეველში მაინც ვერ მოხვდები.

ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, „მარშელების“ სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, ძალისმიერ მეთოდებს თვით იესოც მიმართავდა. როცა იგი სოლომონის ტაძარში შევიდა და იქ გაცხოველებული ვაჭრობის სცენა იხილა, ისე გაბრაზდა, დახლები ამოაყირავა, ვაჭრებს კი საბლის შოლტით აუჭრელა გვერდები და ტაძრიდან კინწისკვრით გამოყარა!

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გაბუნია იმ ტელემონოლოგის გაკეთებას ვერ გაბედავდა, ეკლესიასა და საზოგადოებას 2017 წლის შემოდგომაზე, ვინმე ლაშა ომარაშვილის ენით გამოუთქმელ სიბილწეზე რომ მოეთხოვა პასუხი, რომელმაც მორწმუნე ქრისტიანებს „საშინელი საიდუმლო“ აუწყა: „ქრისტიანობამ თავისი დრო მოჭამა! ქრისტე აღარ არსებობს. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ პოსტქრისტიანულ ეპოქაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ისე ჩამორჩება ამ მეინსტრიმსა და ცხოვრების განვითარებას, რომ ეს ჯერ კიდევ არ იცის“.

ეს ახალგამოჩეკილი ეშმაკის მოციქული, მსოფლიოში არსებული ორ მილიარდზე მეტ ქრისტიანს ამუნათებს, ქრისტე აღარ არსებობს, ქრისტიანობამ ჩაილულის წყალი დალია, თქვენ კი ან ჭურში ზიხართ, ან ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში იმყოფებით და ჯერ კიდევ არ გაგიგიათო. ამაზე მეტი თავხედობა წარმოგიდგენიათ?

ჩემი თვისთვის ვერ მიპატიებია და ძალიან მიჭირს ამის აღიარება, მაგრამ მე მართლა ისე ჩამოვრჩენილვარ „ამ მეინსტრიმსა და თანამედროვე ცხოვრების განვითარებას“, თვით ამ მეინსტრიმის მნიშვნელობა არ ვიცი, მაგრამ, გპირდებით, აუცილებლად გავიგებ. ასე ჩვენ, არც კოჰაბიტაციის მნიშვნელობა ვიცოდით ამ 5-6 წლის წინათ, მაგრამ დღეს, მტერსა თუ მოყვარეს პირზე აკერია ეს დაწყევლილი სიტყვა, რაც, თურმე, დამნაშავეებთან თანაცხოვრებას გულისხმობს. სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ლაშა ომარაშვილი ძმები ბერძენიშვილების, ხათუნა სამნიძისა და თამარ კორძაიას სულიერი ძმა და „რესპუბლიკური პარტიის“ აქტიური წევრია, იმდენად აქტიური, რომ ადგილობრივ არჩევნებში საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატიც კი იყო!

ომარაშვილი წინა ცხოვრებაში ბერ-მონაზონი ყოფილა და უთუოდ ეცოდინება, რომ „კვეთებელი“ არის ბოროტი სულით შეპყრობილი ადამიანი. მცირედ მორწმუნეს ან ცოდვაში ჩავარდნილ ადამიანს, ბოროტი სული თავს ახვევს უკეთურ აზრებს და დროთა განმავლობაში, უწმინდურის გავლენის ქვეშ ხვდება, გონება უბნელდება, საღად ვერ აზროვნებს, გაღიზიანებულია, არ ესმის კეთილი რჩევა და ბევრ სისაძაგლეს სჩადის.

ეკლესიამ, ცხადია, იცის, როგორ უწამლოს ასეთ შეპყრობილებს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, გაბუნიასა და ომარაშვილთან დაკავშირებით ტრადიციული მკურნალობის მეთოდები ეფექტური ვერ იქნება და ალტერნატული გზებია მოსაძებნი.

მე მაქვს რაციონალიზატორული წინადადება, იდეა, რომელსაც, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, სრულიად უანგაროდ ვთავაზობ ხელისუფლებას და თუ სამართალდამცავი სტრუქტურები არსენალში მიიღებენ შეთავაზებულ მეთოდს, ეფექტი გარანტირებული იქნება.

შრი-ლანკაში არსებობს სკაროსების შხამიანი კუდებით გაროზგვის ტრადიცია, რასაც არა მარტო დასჯის, მკურნალობის მიზნითაც იყენებენ. გაროზგვის პროცედურა იმდენად მტკივნეული ყოფილა, ზოგჯერ რეციდივებიც ახლავს თურმე, მაგრამ, დამეთანხმებიან ექიმები, რეციდივი მკურნალობის შემადგენელი ნაწილია და მისგან არავინაა დაზღვეული.

წმინდა ნიკიფორეს მოჰყავს მე-8 საუკუნის საეკლესიო მამის იოანე დამასკელის აღწერილობა და ამბობს, რომ იესო ჰგავდა ქალწულ მარიამს. იგი იყო ლამაზი და განსაცვიფრებლად მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, ღია ფერის რამდენადმე დახვეული თმებით, ჰქონდა მუქი წარბები, ოვალური სახე, ფერმკრთალი და შავგვრემანი იერით, ნათელი თვალები და გამოხედვა, რომელშიაც იხატებოდა მოთმინება, კეთილშობილება და სიბრძნე.

მაცხოვრის აღწერილობა მოცემულია იერუსალიმის თემის თავმჯდომარის რომის სენატისადმი გაგზავნილ წერილშიც: „ჩვენს დროში გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად ქრისტე იესო... ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე, ისე რომ, ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს. აქვს ღვინისა და თაფლისფერი დატალღული თმა, დახუჭუჭებულიც კი, რომელიც მხრებზე დაცემისას ბზინავს, ნაზარეველთა ჩვევისამებრ შუაზე აქვს გაყოფილი, შუბლი სუფთა და სწორი აქვს, სახეზე არც ერთი ლაქა და ნაოჭი არ ატყვია, არამედ ვარდისფერი დაჰკრავს. ცხვირპირი უნაკლო სილამაზისა აქვს, წვერი ხშირი და ფართო, შედარებით მოკლე, ისიც შუაზე ორად გაყოფილი. თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი. ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როდესაც შეაგონებს. მხიარულია, მაგრამ ღირსებას ყოველთვის ინარჩუნებს. ის არასოდეს უნახავთ მომცინარე, არამედ მტირალი. ტანი და ხელ-ფეხი იერით მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სერიოზულია, თავმდაბალი და ზომიერი, ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში“.

ახლა, ღმერთო შეგცოდე და, შეადარე, პატივცემულო მკითხველო, ამ ადამიანურ სრულყოფილებას ეს თავგადაპარსული და საყურეებიანი არარაობა და ნათელი წარმოდგენა შეგექმნება, თუ როგორ ხდება ცოდვით დაცემულთა სულიერი და ხორციელი მუტაცია!

P. S. სელექციონერებმა იციან, რომ არსებობს მცენარეთა სახეობა და ჯიში. მაგალითისთვის, სახეობაა ასკილი, ხოლო მისგან გამოყვანილი ვარდი - ჯიში. იმ შემთხვევაში, როცა სასურველ შედეგს ვერ ღებულობენ, უჯიშო გამოვიდაო, ამბობენ. ამ ინფორმაციამ რეზო ამაშუკელის ერთი ემოციური ლექსი გამახსენა, რომელიც აქ წამოჭრილ პრობლემას უკავშირდება:

„მინელდა დელგმა და ქედები გადაიგრგვინა:
და მაინც ელავს, ნათდება და წვიმს გამეტებით,
შეკრთა ქოთანში, ცოცხალივით, „ქრისტეს გვირგვინა“,
თითქოს ფოთლები დაეცვარა სისხლის წვეთებით!
ამ ეკლიანი ყვავილებით თუ თხზავდნენ გვირგვინს
წამებულისთვის, როცა ჯვარცმა სიცოცხლედ იქცა!
ამდენ უჯიშოს, ამდენ მახინჯს, ბოზსა და ჯიბგირს,
როგორ ატარებს, როგორ იტანს ქართული მიწა?!“

P. P. S. ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს მაია ასათიანს სტუმრად ჰყავდა ეს ჟურნალისტად წოდებული გაბუნია და მისი პროდიუსერი ძმა - დათა. გადაცემის წამყვანმა საქებარი სიტყვები არ დაიშურა ძმების მიმართ და ბოლოს აზარტში ისე შევიდა, ორი კაშკაშა ვარსკვლავი უწოდა მათ!

დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! მართლაც რომ არა აქვს ენას ძვალი და ადამიანის უმეცრებას – საზღვარი!

თეიმურაზ ჯანელიძე,
პოლიტოლოგი.
ქ. წყალტუბო

კონტრაქციელებო, თქვენს მხარეს ვარ!

მთავრობის სახლის წინ მდგარი, გზასაცდენილი, ანგაჟირებული, მოხულიგნო-მობილწსიტყვო ახალგაზრდების წინააღმდეგ კონტრაქციების სახით ზნეობის წმინდა ნიაღვარი რომ დაიძრა, შვებით ამოვისუნთქე! მივხვდი, რომ ქართველი ერი არ გადაშენდება, არ მოკვდება (მსოფლიოში ზოგიერთს რომ უნდა!), კაცობრიობის ცის კაბადონზე მარად იბრწყინებს და იარსებებს! ეს იყო (არის) სტიქიურად დაბადებული სახალხო ლაშქარი! განა შეიძლება იმის მოთმენა, რაც იქ ხდებოდა? „თავისუფლების მებრძოლები“ კი არა, ესენი, უბრალოდ, თავხედები არიან, ვიღაცის ფულებით განებივრებულები, მიზანმიმართულად ფსიქიკურად გაუკუღმართებულები, უნებისყოფობით და უსაქმურობით განარკომანებულები! გამოდის „მშვენიერი ვაჟკაცი“ და ქალების გვერდზე მდგარი, საჯაროდ, მთელი საქართველოს თვალწინ იგინება! სად დაიკარგა სირცხვილი და სინდის-ნამუსი?!

უცნაური და „რბილი“ სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ტელევიზიით... აქციის მონაწილეებისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს – „დაიშალეთო!“ სწორი იყო, „დაპირისპირებას არ დავუშვებთო“, მაგრამ ეს რაღა იყო: „ნარკობარიგების წინააღმდეგ უკომპრომისოდ ვიბრძოლებთ“, მაგრამ მომხმარებლისადმი „ჰუმანურობას გავაგრძელებთო“?! როგორ შეიძლება მხოლოდ გამავრცელებელი ისჯებოდეს და მომხმარებელი – არა? ეს ხომ ერთი წრეა, „ერთ ქვაბში იხარშებიან“! ცნობილი ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ სამართლიანად მოითხოვა: ნარკომანები სიკვდილით უნდა დაისაჯონო! ახლა ამას დაიხვევენ ხელზე „ლგბტ“ თემის წევრები და „ძმანი და დანი მათნი“: საქართველოში სიკვდილით დასჯა აკრძალულია და რანაირად უნდა დაისაჯოსო. თუ აშშ-ის ათეულობით შტატში სიკვდილით დასჯა დაშვებულია, ჩვენს დამრიგებელს (თუ „მბრძანებელს“), „სტრატეგიულ პარტნიორს“ და „დემოკრატიის შუქურას“ რატომ არ ვბაძავთ? განა ნორმალური სამართალია, ერთმა ნორვეგიელმა „გიჟმა“ ავტომატის ჯერით 80-ზე მეტი ახალგაზრდა რომ გაჟლიტა (მათ შორის ერთი ულამაზესი ქართველი გოგონაც) და მას მხოლოდ სამუდამო პატიმრობა აკმარეს? აი, ასეთი გადაწყვეტილებით თავხედდებიან ახალგაზრდები მთელ მსოფლიოში და მათ შორის ქართველი „ლიბერასტები“.

უსამართლობა და უზნეობა არ არის, ევროპის 12 ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება რომ დააკანონეს? საიდან მოდის ეს მართლაც სატანური გადაწყვეტილებები? ფული, ოქრო, იუდას ვერცხლი შვრება ყველაფერს! უზარმაზარი ფული ტრიალებს ნარკობიზნესში. ტყუილად კი არ თქვა ბრძენმა პოეტმა: „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა“!

ჩემი აზრით, სწორი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარიას დიპლომატიური ბოდიშის მოხდაც. ეს საჭირო იყო ანგაჟირებულთა დასაშოშმინებლად.

... და დაიძრა ზნეობის წმინდა ნიაღვარი ამ უხამსობის წინააღმდეგ!

სწორი იყო, პოლიციამ დაპირისპირებულები ერთმანეთთან რომ არ მიუშვა!!!

სამწუხაროდ, ამ წმინდა ბრძოლაში შეცდომებსაც უშვებენ ჩვენი კონტრაქციელები! რას ნიშნავს ფაშისტური სიმბოლოები? ნაცისტები (ფაშისტები) პატრიოტები კი იყვნენ, მაგრამ ეს პატრიოტობა მათ კაცთმძულვარეობაში გადაეზარდათ და ამან შეიწირა მეორე მსოფლიო ომის დროს 60-ზე მეტი მილიონი ადამიანი! სხვა სიმბოლოები მოიგონეთ, სხვა სახელი დაირქვით, თქვე კარგო ადამიანებო!

რასაკვირველია, უსამართლობა იყო ქრისტიანობის დამცველი 7 კაცის დაპატიმრებაც, მაგრამ რატომ დაუშვეს შეცდომა და რატომ იგინებოდნენ? ჩვენ გვჭირდება ჯენტლმენი, განათლებული, სულით მდიდარი პატრიოტი თაობა და არა ყიამყრალი ბიჭები!

ტელევიზიით გამოდიან ეს ტვინნაღრძობი, თავხედი ლიბერასტები და ამბობენ: 9 აპრილს დაღუპულებიც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და ცეკვავდნენ, ჩვენც თავისუფლებისთვის ვცეკვამთ და მათ მემორიალზე როკვა დასაშვებიაო. ამაზე მეტი ციინიზმი იქნება? ისინი სისხლს ღვრიდნენ ქართული ენის და სამშობლოს გადარჩენისთვის ბრძოლაში (როგორც ზვიადი და მერაბი), თქვენი თავისუფლება და ნების გამოხატვა კი არის ნარკომანია, ბილწსიტყვაობა, უსაქმურობა, გარყვნილება“, „ფულებში ბანაობა“.

მხოლოდ წმიდათაწმიდა ბრძოლით შევინარჩუნებთ: მამულს, ენას და სარწმუნოებას!

კონტრაქციელებო! „მარშელებო“! სიტყვით, საქმით და კალმით მე თქვენს მხარეს ვარ!

უშანგი ჯანგირაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.
ბორჯომი.

◎ პორტრეტი

კაცი და მისი გზასავალი

ყოველი ადამიანი თავად ირჩევს: იაროს კაცური, ღირსეული გზით „და ეს წესი წესად დარგოს“, თუ პირიქით, არვის არგოს საკუთარი თავის გარდა...

ირაკლი კუჭავამ პირველი გზა — ღირსების გზა აირჩია და ხალხის სამსახურიც წესად გაიხადა.

ბატონი ირაკლი ორი ვადით არჩეული გამგებელია ჩოხატაურის რაიონში. ეს არის კაცი, ვისაც სიტყვა ეთქმისო, თქვეს რაიონის მშრომელებმა და თავიანთ რჩეულად დაასახელეს.

ძნელია, ჩამოვთვალო ის სიკეთეები, რომლებიც მისი ხელდასხმით გაკეთებულა რაიონში. ასობით გაჭირვებულისთვის გაუმართავს ხელი და ნუგეში მიუცია, მისი კაცობის გვირგვინიც ეს არის.

ჩოხატაურის რაიონში მისი ხელმძღვანელობით აშენდა შესანიშნავი კულტურის სახლი, რომელიც სახელოვანი თანამემამულის ნინო რამიშვილის სახელს ატარებს. კეთილმოეწყო ნაბეღლავის ქარხანა, სოფელ ნაბეღლავში დაიგო გზები, ყველა სოფელს ემსახურება მიკროავტობუსი. მომავლის გეგმებში ბახმაროს მშენებლობა და საერთაშორისო კურორტად გადაქცევაც არის.

ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესება მისი მუდმივი საზრუნავია, წინაპართა ნაკვალევზე მყარად დგას და გონივრულად წინამძღოლობს.

ვცდილობ, უფრო მეტი გავიგო მის შესახებ, „ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის“. ამიტომაც, ვეკითხები: **რა-გორია თქვენი სავალი გზა?**

— წინაპრების გზას ვაგრძელებ. „მამულს გული, უპირველეს ყოვლისა“ — მეც აქედან მოვდივარ და ჩემი სავალი გზაც ესაა. მინდა, უფრო თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა გვქონდეს. ტერიტორიების აღდგენა, ღიმილმჩენი ხალხი, აი, ჩემი ძირითადი საფიქრალი.

— ყოველი ოჯახი პატარა სახელმწიფოა სახელმწიფოში, როგორ ოჯახებს ისურვებდით საქართველოში?

— ოჯახის სიძლიერე ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით გამოიხატება, ოჯახმა შვილებს ზნეობრივი და მორალური წესები უნდა ჩამოუყალიბოს, რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად. ჩემი ოჯახიც სიყვარულის საფუძველზეა შექმნილი. ოჯახი ქვეყნის სიწმინდეა, საღვთო საქმეა.

— რას ეტყვით ახალგაზრდობას?

— არ დაივიწყონ ვისი გორისანი არიან, არასდროს დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, სწორი გზიდან არ გადაუხვიონ, სიყვარულით იცხოვრონ, დანარჩენი ყველაფერი მოგვარდება.

— როდის ხართ ბედნიერი?

— როცა ხალხს ვეხმარები, როცა ვინმეს კარგს ვუკეთებ.

— თქვენ ქართული სუფრის შნო და ლაზათი ბრძანდებით, კარგი თამადა, ენამჭევრი და ენამზიანი. რას ნიშნავს თქვენთვის, ზოგადად, ტრადიციები და კერძოდ, ქართული სუფრა.

— ტრადიციებს მოვლა, შენარჩუნება და დაცვა სჭირდება. ტრადიციების გაგრძელება ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია. ამ ტრადიციებმა შექმნა ქართველი ერი. რაც შეეხება ქართულ სუფრას, იგი ჩვენი ტრადიციების, კულტურის ფენომენია. მსოფლიომ იგი არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარა.

შეკითხვა ბევრი მაქვს, მაგრამ მომავლისთვის გადავდებ.

ბატონი ირაკლი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, მისი სავალი გზა აღმავალია. აღმასვლას და წარმატებებს ვუსურვებ ამ გზაზე!

გიული ჩხიკვაძე
ჩოხატაური-თბილისი

მიკროსაფინანსოები გამსხვილდება, ონლაინსესხები თითქმის გაქრება, ლომბარდების ბედი უცნობია...

საფინანსო ბაზარზე დიდი ცვლილებები კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. გადაჯგუფება მიდის ყველა მიმართულებით და მისი მიზეზი ეროვნული ბანკის ერთბაშად გააქტიურებაა. ცვლილებები შეეხება უკლებლივ ყველა რგოლს.

ბიზნესომბუდსმენი **ირაკლი ლეძვინაძე** ამბობს, რომ ონლაინსესხების კომპანიებს დიდი პრობლემები ელოდებათ და მალე იგივე დღეში აღმოჩნდებიან ლომბარდებიც.

„ჩვენ კომუნიკაცია გვქონდა ყველა მხარესთან, ვისაც უშუალოდ ეხება ეროვნული ბანკის რეგულაციები, მათ შორის სებთან, ონლაინ სესხების გაერთიანებასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციასთან და საბანკო ასოციაციასთან.

ორი კუთხით შეგვიძლია, შევხედოთ საკითხს, მაკრო და მიკრო დონეზე. მაკრო დონეზე თუ შევხედავთ, რეალურად ის პრობლემა, რაც უკავშირდება ზედმეტ დავალიანებას ფიზიკური პირების მხრიდან, ანუ ჭარბვალიანობას, ეკონომიკაში რეალურად არსებობს. აქვე თუ შევხედავთ მიკრო, ანუ კონკრეტული ბიზნესების კუთხით, აქ გარკვეული უარყოფითი გავლენები ამ რეგულაციას ექნება.

ონლაინ სესხების კომპანიებისთვის ეს არის ძალიან მტკივნეული რეგულაციები და მათი მოქმედების არეალს უდიდეს წილად ზღუდავს, რადგან იმ ფიზიკურ პირებს ეხება, ვინც უშუალოდ მათი კლიენტები არიან. მნიშვნელოვნად ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და დიდი იქნება გავლენა საყოფაცხოვრებო ტექნიკით მოვაჭრე კომპანიებზეც, რადგან მათ გაყიდვებში უდიდესი წილი განვადებებს უკავია“, — განაცხადა ლექვინაძემ.

მისი თქმით, ამ კომპანიებმა ითხოვეს დახმარება, ბიზნესომბუდსმენის აპარატსაც ჰქონდა კონსულტაცია ყველა მხარესთან, ვინც ამ რეგულაციების დამწესებელია.

„შევიმუშავეთ რეკომენდაცია, სადაც ჩამოვთვალეთ ორგანიზაციები, ვისაც რეგულაციები ეხება და აღვწერეთ სურათი, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათზე ამ ცვლილებას. რეკომენდაციაში ვითხოვეთ უფრო მეტი დრო იმისთვის, რომ ადაპტირება მომხდარიყო აღნიშნულ რეგულაციასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ნაწილობრივ უკვე ძალაშია“ — განუცხადა „საქმის კურსს“ ირაკლი ლექვინაძემ.

მის მოსაზრებას მთლიანად ეთანხმებიან საფინანსო ბაზარზე მოქმედი კომპანიები. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გაქრება ან სხვა მსგავს სტრუქტურას შეერწყმება.

იურიდიული საკონსულტაციო კომპანია სს L&A-ის პარტნიორი **უჩა ძიმისტარაშვილი** ვარაუდობს, რომ ბაზარზე მიკროსაფინანსო კომპანიების გამსხვილების პროცესი დაიწყება. ახალი რეგულაციის პირობებში სექტორს ძალიან სწრაფად მოუწევს გადაწყობა ახალ პირობებზე, რა დროსაც ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს, შესაძლოა, საქმიანობის შეწყვეტა მოუწიოს.

ბექა დანელია

შპს ენგურჰესის განცხადება

თაღოვანი კაშხლის სასაწყობო შენობის ნაწილის, იჯარით გაცემის მიზნით, აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი” (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო), შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 16 მაისის სხდომის ოქმი №3 და სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი №5 გადაწყვეტილებების საფუძველზე, თაღოვანი კაშხლის №2 სასაწყობო შენობის ნაწილის, 70 კვ. მეტრის ოდენობით, იჯარით გაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს შემდეგი პირობებითა და მონაცემებით:

- საწყობის შენობის მთლიანი სასარგებლო ფართი 415 კვ.მეტრი;
- შენობის ჭერის სიმაღლე 5,7 მეტრი;
- იჯარით გასაცემი ფართი 70 კვ. მეტრი;
- შენობა ერთსართულიანი და გადახურულია;
- საიჯარო თანხა თვეში 1 კვ.მ. დახურულ ფართობზე 2.0 ლარი დღგ-ს გარეშე;
- მთლიანი საიჯარო თანხა თვეში 140 (ასორმოცი) ლარი დღგ-ს გარეშე;
- შენობის ფიზიკური მდგომარეობა - დამაკმაყოფილებელი;
- მისამართი: წალენჯიხის რაიონი სოფ. ფოცხოეწერი. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით: ზონა - წალენჯიხა, სექტორი - 15, კვარტალი - 33, ნაკვეთი - 108;
- სავაჭრო ბიჯი 1 კვ. მეტრზე - 10 თეთრი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასი 10 ლარი;
- იჯარის ხანგრძლივობა - 2 (ორი) წელი, (შემდგომში ვადის გაგრძელების უფლებით);
- „ბე“ - პირველი შენატანი, განისაზღვრა თვიური საიჯარო თანხის (ბიჯის ჩათვლით) ორმაგი ოდენობით, ერთი პირველი თვის გადასახადი, ხოლო მეორე - ბოლო თვის;
- ფართობის გაიჯარება ხდება აუქციონზე დადგენილი ფასით, დღგ - ს გარეშე;
- მომდევნო თვის საიჯარო თანხის გადახდა ხდება თვის დასაწყისში 5 სამუშაო დღეში;
- მიმდინარე თვის გადასახადის 25 რიცხვამდე გადაუხდელობის შემთხვევაში უქმდება ხელშეკრულება და არ უბრუნდება ბოლო თვის (წინასწარ გადახდილი) საიჯარო ქირა.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის” საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის საიჯარო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე”-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს „ენგურჰესი”, ს/კ 251716371, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT6600000003403403, ს/კოდი 251716371.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის” ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2018 წლის 21 მაისის 10 სთ-დან 2018 წლის 29 მაისის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2017 წლის 29 მაისს 14 სააათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან” შესაბამისი ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მოიჯარეს არ მიეცემა დროებითი სარგებლობის უფლება და „ბე”-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი);
- „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი და ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ;
- იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და ბოლო საფინანსო წლის ბალანსი;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის საიჯარო ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი, ტელ. 595 227050

შპს ენგურჰესის აუქციონის მომწყობი კომისია

ასე ამბობდა ჩერჩილი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

იმის თაობაზე, თუ როგორ წარვემატოთ

სიდიადის ფასი პასუხისმგებლობაა.

* * *

თუ ხელთ სუსტი საბუთები გიჭირავს, ლაპარაკი ხმამაღლა დაიწყე.

* * *

ძალაუფლება ნარკოტიკია, ვინც ერთხელ მაინც გასინჯა, სამუდამოდ მოწამლულია.

* * *

თუ წარსულთან აწმყოს დავა წამოვიწყეთ, აღმოვაჩენთ, რომ მომავალი დავკარგეთ.

* * *

როცა ორსავე მხარეს არგუმენტები უთავდება, ბომბები იწყებენ გრუხუნს.

* * *

არასოდეს არ დანებდეთ — არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს — არც დიდ ამბავში, არც მცირეში, არც კიდევ უფრო დიდში, არც წვრილმანში, არასოდეს არ დანებდეთ, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ღირსებას და საღ აზრს. არასოდეს არ შეუშინდეთ ძალას, არასოდეს არ დაგაფრთხოთ თქვენი მოწინააღმდეგის ჭარბმა ძლიერებამ.

* * *

ცხოვრებაში არცრა ისე არ გამხნევებს, როგორც ის ამბავი, რომ გესვრიან და აგაცდენენ.

* * *

ვინც მწვერვალებისკენ მიისწრაფვის, ყველა გაუბედავზე მეტი გაბედულება და ყველა სუსტზე ბევრად მეტი სიძლიერე მართებს.

* * *

პასუხისმგებლობა ის ფასია, რასაც ძალაუფლებისთვის ვიხდით.

* * *

პესიმისტი სიძნელეებს ყველა შეხედავს, ოპტიმისტი ყველა სიძნელეში ხედავს შესაძლებლობას.

* * *

ჯერ საჭიროა, რომ პატიოსანი იყვე, მერე უკვე — კეთილშობილი.

* * *

სოციალისტებს ჰგონიათ, რომ მოგების მიღება ცოდვის ჩადენაა. ჩემი აზრით კი, ნამდვილი ცოდვა ის არის, როცა ზარალს ვითმენთ.

* * *

თქვენი შეგნების შეცვლით თქვენსავე სამყაროს იცვლით.

* * *

შეუპოვარი ადამიანი დროდადრო ჭეშმარიტებას რომ წააწყდება, ამბობს: „ბოდიშით“, — და გზას განაგრძობს.

* * *

ფანატიკოსი ის კაცია, რომელსაც არც შეხედულებათა შეცვლა შეუძლია და არც თემის გამოცვლა. და წარმატებას ხშირად სწორედ ასეთი ხალხი უყვარს.

* * *

ცნობილი რომ გახდე, გაცილებით ეფექტურია სიახლეთა შექმნა, ვიდრე სიახლეებზე ლაპარაკი.

* * *

ნამდვილი გენერლები ყოველთვის წარსული ომისთვის ემზადებიან.

* * *

დაიხსომეთ: დრო და ფული უმეტესწილად ურთიერთშემცვლელნი არიან.

* * *

თუ კაცის მოკვლა გაქვთ გადაწყვეტილი, თავაზიანად მაინც მოექეცით, არცრა დაგიჯდებათ.

* * *

დრო ცუდი მოკავშირეა.

* * *

დიპლომატი ის კაცია, რომელიც ორჯერ იფიქრებს, სანამ არც არაფერს არ იტყვის.

* * *

ფულის დაგროვება სასარგებლო საქმეა, მეტადრე თუ შენმა მშობლებმა თადარიგი უკვე დაიჭირეს.

* * *

დიდ უპირატესობას ის იღებს, ვინც საკმაოდ ადრე ჩაიდინა შეცდომები, რომელთა მიხედვითაც ჭკუის სწავლაა შესაძლებელი.

* * *

უკეთუ ჯოჯოხეთის წიაღ, ანუ გავლით, მიდიხართ, გაუჩერებლად იარეთ.

* * *

ვითარების არა მარტო გამოყენება უნდა ვიცოდეთ, არამედ ვითარების შექმნაც უნდა შეგვეძლოს.

* * *

რაგინდარა კრიზისი ახალი შესაძლებლობაა.

* * *

შენს სხეულს სულ უნდა ეფერო, რათა სულს იქ ყოფნა არ მობეზრდეს.

* * *

გინდათ, რომ დავაში თქვენი სიტყვა უკანასკნელი იყვეს? უბრალოდ უთხარით თქვენს ოპონენტს — „მგონი, მართალი ბრძანდებით“.

* * *

წარმატება საბოლოო არ არის, არც წარუმატებლობაა ფატალური, მნიშვნელოვანი მხოლოდ ვაჟკაცობის გაგრძელებაა.

* * *

არ არის საჭირო ბოლო წუთს შეუძლებლის გმირულად ჩაბღაუჭება. საჭიროა დროულად იმის მოხელკეთილება, რაც საჭიროა.

* * *

ჩერჩეტია ის კაცი, ვინც არცროდის არ იცვლის თავის მოსაზრებას.

* * *

მომავლის შიში ნუ გაქვთ, დაკვირვებული თვალით გახედეთ ხოლმე, იმასთან დაკავშირებით თავს ნუ მოიტყუებთ, ოღონდ შიში ნუ გაქვთ. გუშინ კაპიტნის ბოგაზე ავედი და დავინახე უზარმაზარი, ამთაგორებული ტალღები და გემის ცხვირი, რომელიც ძალუმად მიაპობდა იმ ამთაგორებულ ტალღებს. და მივხვდი, რომ გემს იმიტომ მიაჩნდა არაფრად ის ტალღები, რაკი მიზანი ჰქონდა, ტალღები კი უმიზნონი იყვნენ. უკეთუ თქვენ მიზანი გაქვთ, ყოველთვის იქ მიხვალთ, სადაც საჭიროა.

* * *

რა კარგიც არ უნდა იყოს სტრატეგია, დროდადრო შედეგს მაინც უნდა დახედოთ.

* * *

რაც უფრო შორს შეძლებ უკან გახედვას, მით უფრო მეტის დანახვას შეიძლებ წინ.

* * *

არცრა აზრია ფრაზაში „ყველაფერს ვაკეთებ, რაც შესაძლებელია“: არადა, შეუძლებელი უნდა შეძლო.

* * *

თუ სრულყოფილდები, მაშასადამე, იცვლები, თუ სრულყოფილი ხარ, მაშ, ხშირად იცვლები.

* * *

ახალგაზრდები, ვგონებ, არანაკლებ ფრთხილად უნდა მოექცნენ წიგნების კითხვას, ვიდრე მოხუცები — საკვებს. არა ჯერ არს ყველაფრის ზედიზედ ყლაპვა, წაკითხულსაც საგულდაგულოდ დაღეჭვა უნდა.

* * *

თქვენ ცხოვრობთ და ქმნით თქვენს საკუთარ სამყაროს. რაც უფრო მდიდარია თქვენი წარმოსახვა, მით უფრო მრავალფეროვანია თქვენი სამყარო. როცა აღარ იოცნებებთ, აღარც ინატრებთ რასმე, სამყაროც დამთავრდება.

* * *

ხანისად გაუგებრობა იმის გამო წარმოიშობა ხოლმე, რომ მავანი შეტყობინებას აგზავნის და მეტისმეტად დიდხანს ელოდება პასუხს.

* * *

ვერაფრით ვერ მოიპოვებთ სახელს ისე დამაჯერებლად, როგორც სიმშვიდით.

* * *

არცროდის არ შეურიგდეთ საქმის ვითარებას.

* * *

ეცადეთ, სანამ ჯერ გვიან არ არის, მეგობართა პირით შეიტყოთ იმ საქმის სუსტი მხარეების შესახებ, რასაც აკეთებთ. ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე არაკეთილმოსურნეთა კრიტიკის მოსმენა მაშინ, როცა რისამე მოღონისძიება და ნაკლოვანებათა გამოსწორება უკვე შეუძლებელია.

* * *

ბევრად უკეთესია წინასწარ აგანგაშდეთ და მოვლენებს მშვიდად შეხვდეთ, ვიდრე ძალზე მშვიდად იყვეთ რაიმე საქმის კვირაძალს, ანუ წინადღეს, მაგრამ განგაში ატეხოთ მოვლენების დაწყებისთანავე.

* * *

დიდ საქმეთა გამოცდილებიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ყველაფრის ერთბაშად მოგვარების ცდა ხშირად შეცდომის მიზეზი ხდება.

* * *

საჭიროა ვესწრაფოდეთ სიბრძნის სათნოებათა და კადნიერებათა შერწყმას.

* * *

დამიჯერეთ, ვერც ვერასოდეს ვერ მიხვალთ დანიშნულების ადგილამდე, თუ ქვებს ესვრით ყოველ ძაღლს, რომელიც დაგეყეფებათ.

* * *

დაიხსომეთ თქვენს ბევრ კარგა გვარიანად დიდ დაუდევრობასა და შეცდომას თქვენთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია, ხოლო თქვენს საუკეთესო მიღწევებს ვნება შეუძლია თქვენთვის.

* * *

საუკეთესო რჩევა ოქროპირთ: ცვალეთ პოზები, ცვალეთ ტონები და არ იგულმავიწყოთ პაუზა.

* * *

ნუ ილაპარაკებთ შავბნელ დროებაზე, წარმატებულ ადამიანს მკაცრ დროებაზე ლაპარაკი მართებს.

* * *

იმის მაგივრად, რომ ზომაგადასული სიშმაგე გამოავლინოთ, ბევრად უკეთესია ზომიერი შესწორებების შეტანა.

* * *

სიკეთე ქმენით, ეს კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ამაზე ხშირად სხვათ ასწავლეთ სიკეთის ქმნა. ეს საქმე კიდევ უფრო ბევრად კეთილშობილურია და გაცილებით იოლია.

* * *

თუ თავხელმარტო ხართ და უიარაღო, თამამად დაეტყვევინეთ, — ეს სულაც დასაძრახისი არ არის. და ეგრევე დაიწყეთ ფიქრი თავდახსნის გზებზე.

* * *

მარტოოდენ იარაღი არ კმარა, იარაღს იდეათა ძალა უნდა მივუმატოთ.

* * *

რაც უფრო უარესია საქმის მდგომარეობა, მით უფრო მეტად უნდა ვეცადოთ იმისი გამოსწორება.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-106

ᲯᲘᲣᲓᲝ

ᲐᲩᲐᲑᲔᲗᲔᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐ

2008 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲐᲩᲐᲑᲔᲗᲨᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲚᲘᲔᲗᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲩᲘᲜᲘᲗ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ. ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ, ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲗᲣᲠᲛᲔ - ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომისას ილია ბაბუციძე და მისი მებრძოლები ცხინვალის მისადგომებთან აღმოჩნდნენ კბილებამდე შეიარაღებული მტრის პირისპირ. უთანასწორო ბრძოლაში ბევრი ვაჟკაცი დაიღუპა. 9 აგვისტოს უკან დახევის ბრძანება მიიღეს, მაგრამ სამშობლოსთვის გულანთებულ ბიჭებს მისი შესრულება არ შეეძლოთ, რადგან დაჭრილები და ალყაში მოქცეული უმწეო ადამიანები შველას ითხოვდნენ. იმ დღეს ცხინვალში მესამედ შესვლისას სკოლასთან ალყა გაარღვიეს და გათავისუფლებულებთან ერთად სამშვიდობოს რომ უნდა გამოსულიყვნენ, სწორედ ამ დროს იმსხვერპლა ილია ბაბუციძე სნაიპერის ტყვიამ...

მას შემდეგ ათი წელი მიილია, მაგრამ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი აგვისტოს ომის გმირის სახელს არ ივიწყებენ. სასპორტო კლუბმა „განთიადმა“ (პრეზიდენტი პაატა ანდრიაძე, დირექტორი ოთარ ჯანელიძე) საქართველოს ძიუდოს ფედერაციასთან, კომპანია „ნატახტარსა“ და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან ერთად მეორედ ჩაატარა ილია ბაბუციძის მემორიალი (მთავარი მსაჯი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლევან ბიგანიშვილი), რომელშიც საქართველოს 14 ქალაქისა და რაიონის უფროსი და უმცროსი ასაკის 250-ზე მეტი ძიუდოისტი მონაწილეობდა 11-11 წონით კატეგორიაში.

— ჩვენი კლუბი ორი წელიწადია, რაც დაფუძნდა, — გვითხრა ოთარ ჯანელიძემ. — ამ ხნის განმავლობაში „განთიადმა“ არაერთი ღონისძიება ჩაატარა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ძიუდოს ტურნირს კი მეშვიდედ ვმართავთ. ილია ბაბუციძის მემორიალს შარშან ჩავუყარეთ საფუძველი. წლეულს გვერდით დაგვიდგა კომპანია „ნატახტარი“, მისი უფროსი ჯუნეით არათი და ბრენდმენეჯერი ნინო მიქელაძე. მათივე დახმარებით გვინდა, რომ გაისად ილია ბაბუციძის მემორიალს საერთაშორისო სტატუსი მივანიჭოთ — საასპარეზოდ თურქი, აზერბაიჯანელი და სომეხი ძიუდოისტები მოვიწვიოთ...

ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ **უმცროს ასაკში** პირველ ადგილებზე გავიდნენ მათე მაისურაძე (კლუბი „განთიადი“), გიორგი გეგია, გიორგი მარგიანი, ლუკა შარია, ნიკა ზაალიშვილი (ყველა — „ჯორჯია“), ნიკა ხუნდაყიშვილი (მარნეული), ბექა დოღვანი („ოლიმპი“), თორნიკე ვახტანგაძე („შევარდენი“), ვასილ სიხარულიძე (ახმეტა), ნიკა გოგიშვილი (ლილო), შოველი ჯოხარიძე (სამგორი). **უფროს ასაკში** ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ოლეგ უგრეხელიძე (ბოლნისი), შოთა ბაჩიაშვილი (ახმეტა), ლუკა მოდებაძე (თბილისის „შევარდენი“), გიორგი ქიტესაშვილი (ახმეტა), ალექსანდრე რაფავა (სამგორი), ლაშა სალუქვაძე („ჯორჯია“), გიორგი ბერუაშვილი (ქარელი), კოტე კაპანაძე (მარნეული), გუჯა ჭინჭარაული (მცხეთა), ანრი ჯიშკარიანი (ბოლნისი) და გიორგი მაისურაძე („ოლიმპი“).

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით პაატა ანდრიაძემ, ოთარ ჯანელიძემ, „განთიადის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა მარინა თარხნიშვილმა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მალხაზ თოფურიამ დააჯილდოვეს. ტურნირის საუკეთესო ძიუდოისტს, ქარელელ გიორგი ბერუაშვილს ილია ბაბუციძის სახელობის სპეციალური თასი და 100-ლარიანი ვაუჩერი აგვისტოს ომის გმირის დედამ, ქალბატონმა ასმათ ბაბუციძემ გადასცა. სპონსორი კომპანიისა და სასპორტო კლუბ „განთიადის“ მესვეურთა ერთობლივი ძალისხმევით უფროს ასაკში ოქროს მედალოსნებს 50-ლარიანი ვაუჩერებიც, ხოლო მეორეადგილოსნებს თითო ყუთი „ნატახტარის“ ლიმონათი ერგოთ.

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ. ᲡᲝᲤᲘᲝ ᲜᲐᲕᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲣᲛᲝ

ᲨᲝᲗᲐ ᲚᲔᲕᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲓᲐ

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲨᲘ **მიმდინარე მაისის ბაშოზე ქართველმა სუმოისტმა ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძემ) ზედიზედ მერვე ქულა მოიპოვა.** მეშვიდე დღეს ჩვენებურმა გამარჯვება უბრძოლველად გაიფორმა, რადგან მის მეტოქე შოთა ენდოს ტრავმა ჰქონდა და დოჰიოზე გასვლა ვერ შეძლო. ასპარეზობის მე-8 დღეს სეკივაკე ტოჩინოშინმა სეკივაკე იჩინოჯოს აჯობა. რვიდან რვა მოგება მისთვის სარეკორდო მაჩვენებელია და იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში ბაშოს ერთპიროვნულად ლიდერობს. ჩვენებური უშუალო მეტოქეებს — იოკოძუნა ჰაკუჰოს, იოკოძუნა კაკურიუს და მე-12 მაეგაშირა ჩიონოკუნის თითო ქულით უსწრებს. საგულისხმოა ისიც, რომ ლევანმა ბაშოს დასრულებამდე შვიდი დღით ადრე გაიფორმა დადებითი ბალანსი — კაჩი კოში.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲡᲐᲛᲒᲝ

ᲩᲘᲓᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲝᲗᲮᲐ

ᲔᲚᲐᲓᲘᲡ **დედაქალაქში დასრულებული სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის ორ დღეში საქართველოს ქალვაჟთა ნაკრების წევრებმა 8 მედალი მოიპოვეს — 2 ოქროს და 6 ვერცხლის.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ვახტანგ ჩიდრაშვილი (57), რომელმაც ევროპული ოქროც გააოთხა, და დავით ლორიაშვილი (100). ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილები დაიკავეს გივი ნადარეიშვილმა (52), მინდია ლილუაშვილმა (68), ლევან ნახუცრიშვილმა (74) და პაატა ღვინიაშვილმა (90), ხოლო ქალებში — ნინო ოძელაშვილმა (72) და ირინე ლეონიძემ (80).

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ **სოფიო შაფათავა ბელარუს სვიატლანა პირაჟენკასთან ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი იტალიურ სან სევეროში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) წყვილთა ასპარეზობაში. სტარტზე მათ მასპინძლებს ფრანჩესკა დელედერასა და ჯაია სქვურკიალუპს სძლიეს — 6:2, 6:1, მერე მეოთხე ნომერ იტალიელებს — კლაუდია ჯოვინესა და ნატაშა პილუდუს აჯობეს — 4:6, 6:3, 10:3, გადამწყვეტი პაექრობა კი მეორე ნომერ ტაივანელებთან — პეი-ჰსუან ჩენსა და ფანდ-ჰსიენ ვუსთან ორ სეტში დათმეს — 3:6, 4:6 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.**

ანტალიის 15.000-იან ტურნირში მარიამ ბოლქვაძემ მოსინჯა ძალები. ერთეულებში მან ხუთი მეტოქე დაამარცხა — მასპინძელი ბეტინა ტოკაჩი — 6:1, 6:3, რუსი ანგელინა ჟურავლიოვა — 2:6, 6:4, 6:0, მე-8 ნომრად განთესილი რუმინელი ქრისტინა ენე 2 საათსა და 58 წუთში — 6:4, 6:7, 6:3. ნახევარფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა რუს ვალერია იუშჩენკოს აჯობა — 6:3, 6:4, გადამწყვეტი პაექრობა კი საათსა და 27 წუთში წააგო ჩეხ მაგდალენა ჰანტუჩკოვასთან — 4:6, 1:6 და მეორე ადგილზე გავიდა.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ

ᲙᲐᲚᲗᲒᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲚᲣᲑᲛᲐ ᲢᲐᲮᲢᲘ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ

ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ **დედაქალაქ ბელგრადში ესპანეთის სამეფო კლუბმა ტახტი დაიბრუნა — მადრიდის „რეალი“ საკალათბურთო ევროლიგის 2017-2018 წლების სეზონის ჩემპიონი გახდა. პირნეველებმა ფინალში მოქმედი ჩემპიონი — თურქეთის „ფენერბახჩე“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს — 85:80 (21:17, 17:23, 25:15, 22:25).**

შეხვედრის პირველი ტაიმი თანაბარ ორთაბრძოლაში მიილია — დიდი შესვენების წინ თურქები მხოლოდ 2-ქულიანი უპირატესობით იყვნენ წინ. მესამე პერიოდში ჩემპიონს ფეხი დაუცურდა, რამაც არა მარტო ამ ათწუთიანი მონაკვეთის, არამედ მთელი მატჩის ბედი გადაწყვიტა. „რეალმა“ აშკარად დაჯაბნა მეტოქე და 8 ქულით დაწინაურდა. ბოლო რაუნდში თურქები გააქტიურდნენ, მატჩში ანგარიშის სხვაობა შეამცირეს, მაგრამ ტიტულის შენარჩუნება ვეღარ შეძლეს.



სამეფო კლუბმა ევროლიგა ისტორიაში მეათედ მოიგო და 2014-2015 წლების სეზონის შემდეგ დაკარგული ტახტი დაიბრუნა.

მადრიდელთაგან ფაბიენ კოსიე გამოირჩა 17 ქულით, ხოლო ლუკა დონჩიჩის ანგარიშზეა 15 ქულა და 3 მოხსნა. „ფენერბახჩეს“ რიგებში საუკეთესო იყო იტალიელი ნიკოლო მელი, რომელმაც თავის გუნდს 28 ქულა (6 მოხსნა და 1 პასი) შესძინა, მაგრამ მარცხისგან მაინც ვერ იხსნა.

მესამე ადგილისთვის პაექრობაში კაუნასის „ჟალგირისმა“ მოსკოვის ცსკა 79:77 დაამარცხა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ



ᲠᲝᲛᲘᲡ **მასტერსის ფინალში ესპანელი რაფაელ ნადალი გერმანელ ალექსანდრ ზვერევს დაუპირისპირდა. შეხვედრა 2 საათსა და 6 წუთს გაგრძელდა.** პირველი სეტი პირნეველმა იოლად მოიგო — 6:1. შეხვედრას ისეთი პირი უჩანდა, რომ ნადალი უპრობლემოდ მოიპოვებდა გამარჯვებას, მაგრამ ზვერევმა კინაღამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა — მეორე ხელი იმავე ანგარიშით თავის სასარგებლოდ დაასრულა — 6:1. მესამე სეტში ალემანი ბრეიკით 3:2 დაწინაურდა. ვინ იცის, პაექრობა როგორ დასრულდებოდა, მატჩი წვიმას რომ არ შეეწყვიტა. გადაკარების შემდეგ ესპანელი უკეთ გამოიყურებოდა და მეტოქეს ზედიზედ ოთხი გეიმი აართვა, გაიმარჯვა 6:3 და რომის მასტერსი მერვედ მოიგო, 935385 ევრო ჩაიჯიბა, თან მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე დაბრუნდა.

ნადალმა კარიერაში 78-ე ტიტული დაიმსახურა, რითაც ჯონ მაკინორის გადაასწრო. ახლა იგი მხოლოდ ივან ლენდლს (94 ტიტული), როჯერ ფედერერსა (97) და ჯიმი კონორსს (109) ჩამორჩება.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲘᲚᲐᲫᲔ

თბილისის ბაგა-ბაღებში კვების რაციონში კალორიები მცირდება

ახალი სასწავლო წლიდან დედაქალაქს 11 ახალი ბაგა-ბაღი დაემატება — ამის შესახებ რადიო „კომერსანტში“ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა კახა გვანცელაძემ განაცხადა.

როგორც ცნობილია, სააღმზრდელო წლის დასრულების შემდეგ, 40 საბავშვო ბაგა-ბაღში სასწავლო პროცესი კიდევ ერთი თვით გახანგრძლივდება.

მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ წელს საზაფხულო ბაგა-ბაღების რაოდენობის გაზრდა გადაწყვიტა. კახა გვანცელაძის თქმით, სერვისით სარგებლობა 13 ათას აღსაზრდელს შეეძლება.

„საზაფხულო ბაღები“ წარმოადგენს თბილისის მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სოციალურ პროექტს. ივლისის თვეში თბილისში 40 ბაღი გააგრძელებს სააღმზრდელობო პროცესს. მათ, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა, ქალაქგარეთ გაიყვანონ ბავშვები, ექნებათ საშუალება, ივლისის თვეში ისარგებლონ ამ სერვისით. სულ 13 ათას აღსაზრდელი შეძლებს სერვისით სარგებლობას,“ — განაცხადა კახა გვანცელაძემ.

რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „თბილისი ლიდერთა შორის“ კახა გვანცელაძემ ბაგა-ბაღების კვებით რაციონში არსებულ ცვლილებებზეც ისაუბრა.

„კალორაჟის ცვლილება თბილისის ბაგა-ბაღებში მთავრობის დადგენილებით პერმანენტულად მიმდინარეობს. ამჟამად, შემცირებულია კალორიების რაოდენობა 1581-დან 1292 კალორიამდე. შემცირებულია ასევე რაციონში შაქრისა და მარილის შემცველობაც. მოკლედ თბილისში ბაგა-ბაღების რაოდენობა იზრდება, კვების რაციონში კი კალორიები მცირდება.

კახა გვანცელაძის თქმით, თბილისში არსებულ ყველა ბაგა-ბაღში მიმდინარეობს მონიტორინგი, რათა დადგინდეს ის, თუ რომელი მათგანი საჭიროებს დემონტაჟს. კახა გვანცელაძე ასევე შეეხო 109-ე ბაგა-ბაღის დემონტაჟის საკითხს, მისი თქმით, ბაგა-ბაღის ხელახალი მშენებლობა წელიწად-ნახევარში დასრულდება.

კომერსანტი

უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია, ყველაზე დაბალი – გურიასა და სამცხე-ჯავახეთში

„2017 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 0.1% პუნქტით შემცირდა და 13,9 % შეადგინა. საქსტატის მონაცემების თანახმად, ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე კვლავ ნარჩუნდება. 2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 13.9 % შეადგინა და 2016 წელთან შედარებით უმნიშვნელოდაა შემცირებული — 0.1%. ბოლო პერიოდის განმავლობაში სახეზე გვაქვს დაქირავებულთა რაოდენობის წილის ზრდა, შესაბამისად, თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შემცირება. უმუშევრობის დონე შედარებით მაღალია ქალაქდასახლებაში, დაახლოებით, 22.8%, ხოლო სოფლად 5.1%, რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 15-დან 24 წლამდე ასაკში შედარებით მაღალი მაჩვენებლები, ხოლო 65 წლის ზემოთ უმუშევრობის დონის შედარებით დაბალი მაჩვენებელი გვაქვს სახეზე“, — განაცხადა „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ.

ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოები იწყება

ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოების პროცესი იწყება. 2018 წლის 20 მაისს, საქართველო-თურქეთს შორის ხელმოწერილი 5-წლიანი პროგრამის ფარგლებში და ქართული მხარის მოთხოვნის შესაბამისად, თურქულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება, გადაუდებელი პროექტის სახით დაიწყოს ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოები ქართული მხარის მიერ გადაცემული ძალოვანი ხარაჩოს პროექტის საფუძველზე. ამჟამად დაიწყო ტერიტორიის შემოზღუდვა და მოსამზადებელი სამუშაოები ხარაჩოს დასამონტაჟებლად. შემდგომ ეტაპზე განსაზღვრულია ოშკის ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, რომელიც ზემოხსენებული 5-წლიანი პროგრამის შესაბამისად ერთობლივად უნდა განხორციელდეს ქართველი და თურქი სპეციალისტების მიერ. სიმბოლურია, რომ ოშკის გუმბათის გამაგრებითი სამუშაოების დაწყება ემთხვევა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს. ქართველ და თურქ ექსპერტებს წარმატება ვუსურვოთ ამ ისტორიული პროექტის ეფექტურად და სანიმუშოდ განხორციელებაში! ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოშკის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს და ტურისტულ ჯგუფებს ვთხოვთ, გაგებით მოეკიდონ სამუშაოებთან დაკავშირებულ პროცედურებს და ტაძარში შესვლაზე შესაძლო შეზღუდვებს.



ვარკეთილში საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი ჩამოინგრა

გუშინ, ვარკეთილის მესამე მასივში საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი ჩამოინგრა. არსებული ინფორმაციით, დაშავებული არავინაა. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია და სამაშველო სამსახური. მაშველებმა მოქალაქეები ტერიტორიიდან გაიყვანეს. ადგილზე იმყოფება სამგორის გამგებელიც.

4-სართულიანი კორპუსი ავარიული იყო და სამგორის გამგეობამ მცხოვრებლები დროებით საცხოვრებელში რამდენიმე თვის წინ გადაიყვანა, თუმცა მათი ნაწილი საცხოვრებელ კორპუსში თვითნებურად დაბრუნდა.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს მარინა ბენიძეს მისი მძიმე დანაკლისის, შვილის

მიშიკო თელიას

გარდაცვალების გამო.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდების განყოფილება დიდი გულისტკივილით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მარინა ბენიძის შვილის

მიშიკო თელიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ყოფილი ცოლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა

ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულ ი. ც.-ს სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარისათვის, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

სასამართლომ ბრალდებული, ასევე დამნაშავედ ცნო ციცი იარალის ტარებისათვის, ჩადენილი განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

საქმის მასალების თანახმად, 2018 წლის 8 იანვარს, დილის საათებში, ბრალდებულმა შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით სხეულის სხვადასხვა მიდამოში 12 ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა ყოფილ მეუღლეს. შემთხვევის ადგილზე გამვლელმა მოქალაქემ მოძალადეს ხელი შეუშალა, რის გამოც მან ვერ შეძლო დანაშაულის სისრულეში მოყვანა და ქალს დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

საბერძნეთში საქართველოს 10-ზე მეტი მოქალაქეა დაკავებული

საბერძნეთში, ატიკას რეგიონში ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის შედეგად, საქართველოს 10-ზე მეტი მოქალაქეა დაკავებული. მათ ბრალად საცხოვრებელი ბინების ძარცვა ედებათ.

ბერძნული მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქეები 4-კაციან ჯგუფებად მოქმედებდნენ და 100-ზე მეტი სახლი გაძარცვეს.

თუმცა, არსებული ინფორმაციით, პოლიციამ დაკავებულების ბინების ჩხრეკისას ნაძარცვი ნივთები ვერ აღმოჩინა. გამოძიების ინფორმაციით, ეჭვმიტანილები ნივთებს დაუყოვნებლივ ყიდდნენ და თანხას საქართველოში აგზავნიდნენ.

რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონში ქუთაისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით, რუსმა ოკუპანტებმა ქუთაისში მცხოვრები ალექსანდრე ნაცვლიშვილი დააკავეს. დაკავების შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის დე ფაქტო შს სამინისტრო ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე მაშინ დააკავეს, როცა ის გალის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ე.წ. საზღვრის „უკანონო გადაკვეთას“ ცდილობდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ამოქმედებულია ცხელი ხაზი და ინფორმირებული არიან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.

ვულოცავთ!

ღირსეულად განვლილი წლეგი

ვულოცავთ დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღს ქართული მეცნიერების ღირსეულ წარმომადგენელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის ღირსეულ კავალერს, ძირძველ ქალაქელს, ქალაქ თბილისისა და აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქეს, დიდებული ოჯახის წინამძღოლს, მშობლების უკვდავმყოფსა და ერთგულ დედმამიშვილს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომისტთა მრავალი თაობის აღმზრდელს, პროფესორ

თეიმურაზ ბაბუნაშვილს

და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. დაე კვლავაც დიდხანს ეღვაწოს თავისი სათაყვანებელი ქვეყნისა და უსაყვარლესი ქალაქის საკეთილდღეოდ მისი ჩვეული სიდარბაისლით.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით
შენი მეგობრები და კოლეგები.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 17 მაისის ნომერში („საქ. რესპ.“ №103) გამოქვეყნდა **ლელა კუნჭულიას** წერილი „ლუგარის ლაბორატორია და „შეშფოთებული“ რუსეთი“. პირველ სვეტში, ქვეთავში „რა კეთდება ამერიკელების აშენებულ ლუგარის ლაბორატორიაში?“ წერია – „2018 წლიდან ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხას (წელიწადში 500 მილიონ დოლარზე მეტი) ქართული მხარე იხდის“. უნდა იყოს – **წელიწადში 500 ათას დოლარზე მეტს**, შემდეგ როგორც ტექსტშია...

ბარემ სულ ფეხით გვატაროონ!

იტალიური კომპანიის „ავიაინტერიორის“ ინჟინრებმა თვითმფრინავებში ფეხზე დასადგომი სავარძლები შეიმუშავეს.

ინოვაციის წყალობით შესაძლებელი გახდება სამგზავრო თვითმფრინავების ტევადობის 20 პროცენტით გაზრდა. ვარაუდობენ, რომ ახალი სავარძლებით საბიუჯეტო გადამზიდველები დაინტერესდებიან.

თუმცა ისიცაა, რომ სპეციალისტების აზრით, ეკონომიის გაწევაზე სპეციალისტებმა „სხვა მიმართულებებით უნდა იფიქრონ“, რადგან შეუძლებელია თვითმფრინავში მგზავრი აიძულო, ფეხზე იდგეს იმის გამო, რომ ამით მეტი ხალხის გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ყველაფერთან ერთად, საგანგებო ვითარების წარმოშობის შემთხვევაში ამან შესაძლოა, უსაფრთხოების დონეზე იმოქმედოს.

ყურებს გამოწმენდა კი არა, გამობანა უნდა

ბამბის ჩხირები ყურებისთვის სახიფათო ყოფილა.

ოტოლარინგოლოგები გვაფრთხილებენ: ბამბის ჩხირებით ყურების გამოწმენდისას დაგროვილი გოგირდი გარეთ კი არ გამოგვაქვს, არამედ შიგნით ვტენით. სტატისტიკური მონაცემებით, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ბამბის ჩხირების გამოყენების შედეგად მიღებული ტრავმებით კლინიკებში 12,5 ათასი ბავშვი ხვდება.

დაზიანებათა 73 პროცენტს ბავშვები ყურების გამოწმენდისას იღებენ, 10 პროცენტს – თამაშის დროს, 9 პროცენტს – ყურში ჩხირით წმენდისას, პაციენტების ნახევარი კი 3 წლამდე ასაკის ბავშვია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

სახელწოდება

ახალგაზრდა მწერალმა მამას შესჩივლა, არ ვიცი, რა დავარქვა ჩემს ახალ მოთხრობასო, მამამ, რომელსაც ჯერ არ წაეკითხა მოთხრობა, შვილს ჰკითხა:

— დოლი თუა ნახსენები შენს მოთხრობაში?

— არა.

— ბუკი თუ ხმიანებს?

— არა.

— მაშინ ადექი და დაარქვი „უდოლო და უბუკო“.

მაღა

როცა ცირკის დირექტორის ნაცნობი წარმოდგენის პროგრამას გაეცნო, მაშინვე მასთან კაბინეტში შევიდა:

— როგორ მოგეწონა პროგრამა? — ჰკითხა ცირკის დირექტორმა.

— კარგია, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: ეგ ცარიელი ძვალი და ტყავი მომთვინიერებელი, რომელიც ფეხზე ძლივს დგას, ლომთან გალიაში შესვლას როგორ ბედავს?

— საქმეც ეგ არის, ლომს მაგის დანახვაზე მადა ეკარგება.

ნეკროლოგი

— გაიგე? დღეს გაზეთში შენი ნეკროლოგია გამოქვეყნებული.

— ვიცი, მე თვითონ მოვათავსე.

— რატომ?

— რატომ და, დღეს თეატრში ჩემი ახალი პიესის პრემიერაა, მინდა, ხვალ კარგი რეცენზია გამოქვეყნდეს.

ახალი დროება

ძველი მსახიობი ახალგაზრდა მსახიობს ეტრაბახება:

— თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, ნამდვილი წარმატება რა არის! ძველად მაყურებელს შეეძლო მსახიობის დაფასება, ერთ-ერთი კონცერტის დროს მაყურებლებმა ცხენები ამიხსენეს ჩემი ეტლიდან, ახლანდელები ვითომ მოახერხებენ ამას?

— არ მითხრა, — მიუგო ერთ-ერთმა ახალგაზრდა მსახიობმა. — ამას წინათ, ერთ-ერთი კონცერტის დროს ჩემი მანქანა გაიტაცეს.

რა უფრო საშინელია

ორი არტისტი მაყურებელზე მსჯელობს:

— საშინელი საყურებელია, როცა სცენიდან უყურებ, როგორ შემოდის დარბაზში მაყურებელი.

— მაგაზე საშინელი იცი, რა არის?

— რა?

— რა და, სცენიდან რომ უყურებ, თუ როგორ გადის მაყურებელი დარბაზიდან.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4423; ევრო - 2.8773;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2925;
100 რუბლი - 3.9332; თურქული ლირა - 0.5459;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4405;
1000 სომხური დრამი - 5.0555.

ამინდი 22 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge